ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge



გვ.5

მილიონზე მეტი ღირებულების ყალბი ანგარიშ-ფაქტურების დამზადება — დაკავებულია ორი პირი

„სამი თვის შვილი დარჩა" — მარნეულში მომხდარი მკვლელობის დეტალები



გვ.5

ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 2022

№28 (8806)

ფასი: 60 თეთრი

# „ოპოზიცია ერთი ევერესტზე არ ასულა ფიცის დასადებად, სხვა ყველაფერი იყო"


გვ.3

სოსო ცინცაძე: „საქართველოს დღეს არ აქვს იმ დონის ფუფუნება, რომ მარგველაშვილი პოლიტიკის მიღმა ჰყავდეს"




გვ.2

## „მელია ცდილობს, ნაცმოძრაობა ქოლგასავით იყოს სხვა ოპოზიციური ძალებისთვის"

დავით ზურაბიშვილი: „უგულავას ვეთანხმები, რომ ოპოზიციაში ორი ფლანგია, მაგრამ ოპოზიცია საპირისპიროდ მოქმედებს"






## „ნაცმოძრაობის 38 დეპუტატი სახლში რომ წავიდეს, პარლამენტი უფუნქციო გახდება"

მამუკა ტუსკაძე: „9 პარტიამ ჩახსნა სიები, თუ ახლა სხვა კანონს არ მიიღებენ, ამ სიებს ცესკო ვერ მიაწვდის"


გვ.4



გვ.3

## ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რუსეთში შესვლის პროგრამა დააანონსეს


გვ.2

## „სოციალურ ნიადაგზე გამოსვლები და სოციალური აფეთქება არ ახსოვს საქართველოს ისტორიას"

შალვა ხაჭაპურიძე: „ოპოზიციას პულსი არ ესინჯება, პოლიტიკაში ჭაობია"

## ალექსანდრე დარახველიძე UNDP-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეს შეხვდა


გვ.5

ISSN 1987-9385

5 მძიმე ნარკოდანაშაული სამეგრელოში — პოლიციამ სამი პირი დააკავა

5 ევროპულმა სასამართლომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით რუსეთის წინააღმდეგ ინდივიდუალური საჩივრების განხილვა დაიწყო

6 სილამაზის დედოფალი მეღუზის თავდასხმის შედეგად საავადმყოფოში აღმოჩნდა

6 პრეზიდენტი ბაიდენი გერმანიის კანცლერს შეხვდა

# „მელია ცდილობს, ნაცმოძრაობა ქოლგასავით იყოს სხვა ოპოზიციური ძალებისთვის“

## დავით ზურაბიშვილი: „უგულავას ვეთანხმები, რომ ოპოზიციაში ორი ფლანგია, მაგრამ ოპოზიცია საპირისპიროდ მოქმედებს“

იაგო ნაცვლიშვილი



გიგი უგულავა ოპოზიციის გამარჯვების ახალი იდეით გამოდის. მისი თქმით, ოპოზიცია ორ ფლანგად უნდა ჩამოყალიბდეს – ერთი ნაწილი ნაციონალური მოძრაობის ქოლგის ქვეშ გაერთიანდეს, ოღონდ ისე, რომ იდენტობა შეინარჩუნოს. უგულავა ამის წინაპირობად მთავარი ოპოზიციური პარტიის ეფექტიანობის წარმოჩენას და ჩრდილოვანი კაბინეტის შექმნას ასახელებს. რაც შეეხება მეორე ფლანგს, იქ ე. წ. შუაშისტი პარტიები და პერსონები უნდა გაერთიანდნენ, ისეთები, როგორებიცაა: ლელო, გახარიას და ვაშაძის პარტიები, ასევე ირაკლი ალასანია, დავით ბაქრაძე, გიორგი მარგველაშვილი და სხვები.

უგულავას იდეას უკვე მოჰყვა შეფასებები. ოპოზიციიდან ნაწილმა არასერიოზული უწოდა, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მსჯელობა უნდა გაიმართოს. ერთ-ერთი, ვინც იდეის პრინციპებს სწორად ჩამოყალიბებულს უწოდებს, პოლიტოლოგი **დავით ზურაბიშვილია**, რომელიც „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამ და არა მარტო ამ საკითხზე საუბრობს.

***– როგორ აფასებთ გიგი უგულავას იდეას, რომელსაც ის სთავაზობს ოპოზიციურ პარტიებს და არის თუ არა ეს გამოსავალი ამ ჩაკეტილი წრიდან გამოსასვლელად? ეთანხმებით მას რამეში?***

– მე მას ვეთანხმები იმაში, რომ ოპოზიციის ორი ფლანგი არსებობს. ერთი, სადაც ნაცმოძრაობის დომინირებაა და მეორე, სადაც ის საპროტესტო ელექტორატია, რომელიც 2012-ში „ოცნებას“ უჭერდა მხარს, მერე ზოგი უფრო ადრე, ზოგი კი გვიან იმედგაცრუებული აღმოჩნდა მისი მმართველობით. ეს ორი ფლანგი რომ არ ემთხვევა ერთმანეთს და ერთიანი ბრძოლა რომ არ გამოდის, ამას დიდი ხანია მეც ვამბობ. იმიტომ, რომ ისტორიის წაკითხვაც კი სხვადასხვანაირია ერთი და იგივე მოვლენებზე. ვინ მართალია და ვინ მტყუანი, იმას არ გავარჩევ, მაგრამ ფაქტია, რომ სხვადასხვანაირად აღიქვამენ როგორც წარსულს, ანუ წინა ხელისუფლების დროინდელ მოვლენებს, ისე ამ ხელისუფლების დროს მიმდინარე მოვლენებს, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ფაქტს.

ამ ორმა ფლანგმა ცალ-ცალკე რომ უნდა ეძებოს ურთიერთობის ფორმები, ეს სრულიად სწორი მოსაზრებაა. რამდენად გამოვა ეგ, არ ვიცი – იქ რომ ყველა გაერთიანდეს და აქეთა ფლანგი სააკაშვილის გარშემო გაერთიანდეს. მე არ მგონია, რომ სააკაშვილი დაკმაყოფილდეს მარტო იმ როლით, რომ უკრაინასთან შუამავალი იყოს. მას აშკარად მეტი უნდა და კვლავ სურს ქვეყნის უფროსობა, ეს ჩანს მის ხედვებში.

***– ფორვარდი სააკაშვილია, მაგრამ არა მთელი გუნდიო, დაახლოებით ასე ჟღერდა უგულავას მოსაზრება ამ საკითხზე.***

– ის ამბობს, რომ სიმბოლოა სააკაშვილი, მაგრამ ფაქტობრივად გამოდის, რომ საერთაშორისო დონეზე რაღაც შუამავლის როლი უნდა იკისროს, რაც მას ნამდვილად არ მოუნდება. ამიტომ, მგონია, რომ ეს არარეალისტურია.

***– რაც შეეხება „ქოლგის“ იდეას, რომლის ქვეშაც უნდა იყვნენ რაღაც პარტიები, ეს რამდენად გამართლებულია?***

– ის პარტიები, პრინციპში, ისედაც ასე არიან. თვითონ არ აღიარებენ ამას, თორემ რეალურად ასეა. ელექტორატი მათთვის ერთია, ისტორიის წაკითხვაც ერთნაირია, ანუ ისინი მეტ-ნაკლებად ერთნაირად კითხულობენ უახლეს ისტორიას. ამიტომ, ეს ხალხი სრულიად სხვა ელექტორატია და ის ვინც 2012-ში მხარს უჭერდა „ოცნებას“ და მერე გაემიჯნა, ის სრულიად სხვა ელექტორატი. პრიმიტიულად რომ დავყოთ, პროდასავლური და პრორუსული, ეს არასწორი მიდგომაა. ორი აბსოლუტურად განსხვავებული სამყაროა და ყველაფრის აბსოლუტურად განსხვავებული აღქმაა. ამიტომ, სჯობს, რომ ეს ორივე ფლანგი ცალცალკე ეძებდნენ თავ-თავის გზებს, ოღონდ ისე, რომ მთლად მოსისხლე მტრებად არ მოეკიდონ ერთმანეთს. საერთოდ, ასეთი რადიკალიზმი დამოკიდებულებაში, პრინციპულად არასწორია.

***– როგორც მინიმუმ, მსჯელობა უნდა დაიწყოს ოპოზიციაში ამ იდეის გარშემო?***

– პრინციპში, მსჯელობა უკვე დაიწყო, მაგრამ მე რასაც ვუყურებ, ქმედებები სრულიად საწინააღმდეგოა. მაგალითად, ლელოს მოქმედებები, რომელიც თავისი მონაცემებით და ძირითადი შემადგენლობით, ის ფლანგია, რომელიც ნაცმოძრაობის ფლანგი არ არის, მაგრამ სულ მათთან ერთად რაღაც კონტაქტებს ცდილობს, რითაც ის სრულიად მოწყვეტილია თავის სავარაუდო ამომრჩეველს. იქაც ვერ იპოვის, იმიტომ, რომ ვისთვისაც ნაცმოძრაობის 9 წელი მისაღები იყო და ივანიშვილის მმართველობა პუტინის მონის მმართველობა იყო, ამ ხალხის გულს მაინც ვერ მოიგებს. ამიტომ დარჩება 1-2%-ზე, ვისაც პირადად იცნობენ და პირადი ავტორიტეტი ვისთანაც აქვთ. ვინც არანაცურ ფლანგზეა, ეს არის გახარიას პარტია, ალეკო ელისაშვილის პარტია, ანა დოლიძე და „გირჩის“ ნაწილი.

***– გახარია და ლელო როგორ წარმოგიდგენიათ ერთ ბლოკში?***

– საქართველოში ყველა და ყველაფერი წარმომიდგენია. ამ ქვეყანაში შეუძლებელი საერთოდ არაფერია, მაგრამ ვიღაცებმა ამის საჭიროება უნდა გააცნობიერონ, თუ შესაძლებელია ეს. შეიძლება არ მოხდეს. როგორც წესი, ჩვენთან პიროვნული დამოკიდებულებები უფრო ბევრ რამეს წყვეტს ხოლმე, ვიდრე სხვა რაღაცები.

***– პიროვნული დამოკიდებულების გამო კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა ნიკა მელიას თავისი პარტიის მხარდამჭერებისგან, იმის გამო, რომ თურმე ის სააკაშვილის ჩამოსვლის წინააღმდეგი იყო. რამდენად სწორი იყო ნაცმოძრაობის მხარეთა რეაქციები?***

– ჯერ ერთი, სიახლე არაფერი ყოფილა და ეს მანამდეც ცნობილი ფაქტი იყო. მე მგონი, თვითონ მელიასაც არ დაუმალავს. მეორე მხრივ, გვინდა თუ არა, ასეა – ამ პარტიის განმსაზღვრელი და მთავარი ელექტორალური ღირებულებების მატარებელი სააკაშვილია. აქ სააკაშვილი რაღაცნაირად ჩამოცილებული იყოს და მის ჭკუაზე არ იყოს პარტია და თან მხარდამჭერები შეინარჩუნო, ეს არ გამოვა. რამდენ ხანს შეძლებს ამ მხრივ ერთიანობის შენარჩუნებას, არ ვიცი. პრინციპში, რეალურად იქ ლიდერი მაინც სააკაშვილია.

***– რატომ ვერ შეიყვარეს მელია ნაცმოძრაობის მომხრეებმა?***

– მელია და რამდენიმე ადამიანი ცდილობს, რომ უფრო ინტეგრირებული გახადოს ნაცმოძრაობა, რომ რაღაცნაირად ქოლგასავით იყოს სხვა ოპოზიციური ძალებისთვის. ანუ, მთავარი მიზიდულობის ცენტრი და მარტო წარსულის პარტია არ იყოს. ამავდროულად ისინი ცდილობენ, ელაპარაკონ იმ ელექტორატს, რომელიც მანამდე ნაცმოძრაობის მომხრე არ იყო, მაგრამ ამავდროულად არ უნდათ დათმონ ისინიც, ვინც მათი მომხრეები იყვნენ. ამ ორს შორის ისეთი სხვაობაა, ძირითადად წარსულის აღქმაში, რომ არათავსებადია ეს ორი ნაწილი.

***– ან ერთი გზა უნდა აირჩიოს მელიამ ან მეორე?***

– რა თქმა უნდა. რეალურად ეს არ გამოდის. ვისაც ნაცმოძრაობა არ მოსწონდა, ის არ დაუჭერს მხარს ამ პარტიას. კი, არიან ასეთებიც, ვიცი რამდენიმე, რომელიც ისევ ნაცმოძრაობას არჩევს, მაგრამ ესენი იდეოლოგიურად არ უჭერენ მხარს, წმინდა მატერიალური აღქმით არიან. მაგალითად, სიტყვაზე, მაღაზია ჰქონდა გახსნილი და დაუხურეს. ასეთი შეიძლება გახდეს ნაცმოძრაობის მომხრე, რადგან ჩათვალოს, რომ მაშინ მქონდა 2 კაპიკი, რაღაცას ვყიდდი და ახლა ველარ ვყიდიო. ვისაც მაშინ არ ჰქონდა და ახლა გახსნა, შეიძლება პირიქით იყოს. ეს სულ არის. ასეთებთან იდეოლოგიური განსაზღვრით ვერ მიხვალ, მათ სულ სხვა ინტერესები აქვთ. ვისთვისაც მიუღებელი იყო იმის გამო, რომ ის რეჟიმი რეპრესიული იყო და ადამიანებზე რეპრესიებს ახორციელებდნენ, ასეთი ადამიანების გულს ვერ მოიგებენ. თუ რეპრესიებს გაემიჯნე, მაშინ სააკაშვილსაც უნდა გემიჯნო, მერაბიშვილსაც და ადეიშვილსაც. იმ წარსულისადმი დამოკიდებულებით ისაზღვრება უფრო მეტად.

***– ვიღაცას გაემიჯნონ და ვიღაცას არა, ეს არ გამოვა?***

– არ გამოვა. თუ სააკაშვილს გაემიჯნები, მაშინ სხვა პარტია უნდა გააკეთო.

***– მელია თავის დროზე გაემიჯნა მერაბიშვილს და არ გაემიჯნა სააკაშვილს. ასე არ გამოვა?***

– ეგ არის ისეთი რაღაცა... ესმით, როგორც ჩანს, რომ ერთიანობა უნდა შეინარჩუნონ და ამით უფრო ძლიერები გამოჩნდნენ, ამიტომ ერთმანეთს უთმობენ რაღაცებს.

# „სოციალურ ნიადაგზე გამოსვლები და სოციალური აფეთქება არ ახსოვს საქართველოს ისტორიას“

## შალვა ხაჭაპურიძე: „ოპოზიციას პულსი არ ესინჯება, პოლიტიკაში ქაობია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.**

***– ბატონო შალვა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? არც ისეთი სახარბიელო სიტუაცია გვაქვს. ოპოზიციაზე საუბრით დავიწყოთ, ნაცმოძრაობა დაუბრუნდა პარლამენტს და სააკაშვილის საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს. როგორც იურისტი, რას იტყვით, რამდენად საჭიროა საგამოძიებო კომისიის შექმნა, რა შედეგს გამოიღებს და რის მიღწევას ცდილობენ ნაციონალები, ყურადღების ცენტრში რომ დარჩნენ?***

– პირველ რიგში, ერთ ახალ ინფორმაციას გეტყვით, ჩემი ხელმძღვანელობით დაარსდა ახალი კომპანია „ხაჭაპურიძე და პარტნიორები, რომელიც მთელ სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დიდი იურიდიული კომპანიაა“. ჩვენ საკანონმდებლო ინიციატივების დაწერასაც ვგეგმავთ, რადგან ვხედავთ, რომ პარლამენტი ამ კუთხით არაფერს აკეთებს და სრული უძრაობაა. ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებს, პოზიციას და ოპოზიციას, მოდით ასე ვთქვათ, ეს რაუნდიც დამთავრდა, „ქართული ოცნების“, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილის გამარჯვებით და ოპოზიციის სრული კრახით. ახლა რასაც აკეთებს ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ეს არის ტაქტიკა, რომელსაც ტივტივის ტაქტიკა ჰქვია.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ ფაქტიურად აღარ გვყავს ოპოზიცია და ივანიშვილმა წარმატებით შეასრულა დანაპირებიო. ასეა?***

– კი, ასეა. ნაციონალები როგორ უძახდნენ თავის თავს? ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიაო, ფაქტიურად, აღარც ეგ პარტია აღარაა. გინდ ყოფილან, გინდ არა. დანარჩენ ოპოზიციას ხომ ისედაც პულსი არ ესინჯებოდა. აღარავინ არის, სტრატეგია აღმაშენებელი თუ შარლ მიშელის ფრაქცია, ლელო თითქოს რაღაც ნიშნებს ამჟღავნებდა ადრე და ახლა მათი მოქმედება საერთოდ გაუგებარია. მოკლედ, კატასტროფული სიტუაციაა. ფაქტიურად ერთხელისუფლებიანობაა ქვეყანაში და არც არსებობს არანაირი პოლიტიკური ძალა, რომელიც ეტყვის თუნდაც ხელისუფლებას, რომ ერთხელისუფლებიანობაა და ეს სიტუაცია უნდა შევცვალოთ.

***– როდემდე იქნება ეს სიტუაცია?***

– როგორც ჩანს, ეს გაგრძელდება კარგა ხანს და არ გამოვრიცხავ, 2024 წლის არჩევნების შემდეგაც. საქმე ისაა, რომ სოციალურ ნიადაგზე გამოსვლები და სოციალური აფეთქება არ ახსოვს საქართველოს ისტორიას. ვინც აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესებში, ის ძალა არ ჩანს. ვგულისხმობ ახალგაზრდობას. ნაციონალურმა მოძრაობამ რომ დიდი მიტინგი მოაწყო და მერე „ქართულმა ოცნებამ“, არც ერთ ამ მიტინგზე ჩვენ არ გვინახავს ახალგაზრდობა.



***– სად არის ახალგაზრდობა? სტუდენტობა?***

– ეს ახალგაზრდობა დასაქმებულია ისეთ სამსახურებში, ისეთ ბიზნესში, სადაც ისინი ძალიან ბედნიერები არიან, კმაყოფილები არიან, აქვთ საკმაოდ მაღალი ხელფასები. შესაბამისად, ახალგაზრდებს არანაირი ინტერესი არ აქვთ, ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში.

***– არ მოდის პოლიტიკაში ახალი თაობა?***

– არც მოვა. რა უნდა პოლიტიკაში? ისე გაცილებით დიდ ფულს აკეთებს. მათ ნახეს, რომ მთელი 30 წლის განმავლობაში, თითზე ჩამოსათვლელი პოლიტიკოსების გარდა, ყველა ფულის კეთებაზე იყო გადასული. აღარ არსებობს არანაირი პატრიოტული სულისკვეთება.

***– უძრაობის ხანაა, ასეთი ჭაობი დიდი ხანია არ ყოფილა პოლიტიკაშიო. რამდენად იზიარებთ?***

– ბრეჟნევის ხანას გავს ეს ყველაფერი. ბრეჟნევს დიდხანს რომ ეცოცხლა, ისევ საბჭოთა კავშირი იქნებოდა.

***– რა პოლიტიკა აქვს დღეს „ქართულ ოცნებას“? დასავლეთი არ უნდაო, საით მიდის, რუსეთისკენ?***

– სად აქვს პოლიტიკა, უძრაობის პოლიტიკა აქვს. დღეს „ქართული ოცნება“ ხედავს ერთ რამეს, საქართველოს და უკრაინის გამო, რუსეთთან ომს არავინ დაიწყებს. თუნდაც გუშინდელი საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტი პუტინთან. ისე დასრულდა ეს ვიზიტი, რომ ბოლოს ისევ ევროპა გამოლანძღა და პუტინს დაუჭირა მხარი. თავის პრობლემები ყოფნის საფრანგეთს და შენ გამო თავს არავინ აიტკივებს. ევროპას არაფერში აწყობს ომი და დაპირისპირება რუსეთთან. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებაც თვალს ადევნებს ამ პროცესს, რომ გამოვიდეს და დაიწყოს აქტიური მსვლელობები ნატოსკენ, დასავლეთი ამ სასამართლოთი, ამ ეკონომიკით და ამ დემოკრატიით არ მიგვიღებს.

***– ოპოზიციის უკრაინაში ჩასვლა რა მიზანს ემსახურებოდა?***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიცია ერთი ევერესტზე არ ასულა ფიცის დასადებად, სხვა ყველაფერი იყო“

## სოსო ცინცაძე: „საქართველოს დღეს არ აქვს იმ დონის ფუფუნება, რომ მარგველაშვილი პოლიტიკის მიღმა ჰყავდეს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ გიგი უგულავას იდეას, რომ ნაციონალური მოძრაობა იყოს ე.წ. ქოლგა დანარჩენი პარტიებისთვის? რას მოუტანს ასეთი ბლოკი ოპოზიციას თუ ის შედგა?***

– საქართველოში ოპოზიციამ გაერთიანების პრაქტიკულად ყველა გზა გაიარა მთაწმინდაზე ასვლიდან დაწყებული, საგურამოში, ილიას მამულში ჩავლით დასრულებული. ერთი ევერესტზე არ ასულან ფიცის დასადებად, სხვა ყველაფერი იყო. დებდნენ შეთანხმების ფიცს, ხელს აწერდნენ ერთგულების დოკუმენტს, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. 30 წელია იგივე წრეზე ვტრიალებთ. ამ ყველაფრის მიზეზი ქართული ხასიათია. ამბიციები, სიამაყე, რომელსაც თითოეული პოლიტიკოსი სამშობლოზე მაღლა აყენებს.

დაბალი პოლიტიკური კულტურა ძალიან ბევრს განსაზღვრავს. საქართველოში რაც უფრო დაბალპროცენტიანია პარტია, მით უფრო მაღალი ამბიციები აქვს.

რაც შეეხება უგულავას ამ იდეას, შეიძლება ეს არ იყოს ყველაზე სწორი უკანასკნელი იდეა, მაგრამ ეს იდეა მსჯელობად, განხილვად რომ ღირს, ამაში ორი აზრი არ არის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ იდეას უკვე მოჰყვა კრიტიკა. 5-6 საათი არ გასულა იდეის გახმოვანებიდან და უკვე გამოჩნდნენ კრიტიკოსები. არ შეიძლება პოლიტიკაში იყო და ასეთი დაუფიქრებელი განცხადებებით გამოდიოდე.

***– ვის გულისხმობთ?***

– კრიტიკოსებს, რომლებიც უკვე გამოჩნდნენ, მაგალითად, გიგა ბოკერიას პარტია. აკაკი ბობოხიძე, რომელიც ყველაზე მეტს საუბრობს, ამდენი წელია. ხომ შეეძლოთ უგულავასთან ერთად განეხილათ ეს იდეა, შეეჯერებინათ პოზიციები და მერე გამოსულიყვნენ, მაგრამ არა, უცებ ისეთი ბარიერი აღმართეს, რომ წარმოუდგენელია ოპოზიციურ ფლანგზე ასეთი გაუგებრობა ხდებოდეს. ოპოზიციასა და ხელისუფლებაზე ხომ არ არის საუბარი.

მე არ ვამბობ, რომ ეს გადარჩენის იდეაა, მაგრამ იქ არის საღი აზრის ელემენტები და რაციონალური მარცვალი. ამიტომ არ იმსახურებს ეს იდეა თავიდანვე დაბლოკვასა და შლაგბაუმის აღმართვას. ოპოზიცია ვალდებულია დაჯდეს და დისკუსია დაიწყოს, როგორ შეიძლება გამოვიდეს ქვეყანა ამ რეალობიდან.

ოპოზიციამ ამომრჩეველს რაღაც რომ უნდა შესთავაზოს, რაღაც ცვლილება რომ უნდა აჩვენოს თუნდაც თავის ხედვაში, ეს ფაქტია. რაც იყო, იმან მოიტანა ის, რაც მოიტანა და რამაც კიდევ უფრო მეტი ნიჰილიზმი გამოიწვია ხალხში. ამის ცვლილებაზე უნდა ფიქრობდნენ ოპოზიციის ლიდერები, როგორ მიიმხრონ ამომრჩეველი და არა, პირიქით.

დღეს ქართული ოპოზიცია იგივე ფოცხს უკვე მერამდენედ აბიჯებს ფეხს. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, თვითონ ლიდერებში ვერ მოხდა საერთო ენის გამონახვა. ყველას თავისი



ამბიცია აწუხებს და ეს ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია.

***– რაც შეეხება მეორე იდეას, რომელმაც, მისი თქმით, უნდა შეძლოს შუაშისტი ამომრჩევლის მიმხრობა. უგულავა ამბობს, გიორგი მარგველაშვილის, გიორგი კვირიკაშვილის, გიორგი გახარიას, „ლელოს“, ირაკლი ალასანიასა და გიორგი ვაშაძის გაერთიანება ორპოლუსიანობას დაასრულებდა. ამ იდეაზე რას იტყვით?***

– ამაზე ვიტყოდი, რომ ეს მართლაც ძალიან საინტერესო იდეაა. მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციის დამსახურებაა, რომ „ქართული ოცნება“ ამდენ ხმას იღებს და ძალაუფლებას დღემდე ინარჩუნებს. თითქოს ეს ძალიან ბუნებრივი სქემა უნდა იყოს სწორედ ორპოლუსიანობის დასასრულებლად და ახალი შესაძლებლობების გასაჩენად, მაგრამ ამის განხორციელებას ხელს უშლის დაბალი პოლიტიკური კულტურა, რომელიც საქართველოშია გამეფებული. დაბალი პოლიტიკური კულტურა ხალხში, ამომრჩეველში და, რაც მთავარია, პოლიტიკურ კლასში. ამიტომ ეს იდეა მე მაინც განუხორციელებელი მგონია. ელემენტარულ მაგალითს მოგიყვანთ: „ლელომ“, მისმა ლიდერებმა დღემდე ვერ დაივიწყეს წერილი, რომელიც გახარიასგან მიიღეს. გასაგებია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია წერილიც და თითოეული დეტალიც, მაგრამ დღეს, როდესაც რეალობა სულ სხვაგვარია, როდესაც ასეთია პოლიტიკური მოცემულობა, წერილზე მაღლა უნდა დადგეს სახელმწიფო ინტერესები. ამიტომ, დღევანდელი გადმოსახედიდან სრულიად წარმოუდგენელი მგონია გიორგი გახარიასა და ბადრი ჯაფარიძის, მამუკა ხაზარაძის ერთობა. არადა, პოლიტიკა შეიძლება სწორედ ამას ითხოვს მათგან. იდეა უფრო დიდია, ამოცანა უფრო დიდია. ამის გაცნობიერება უნდა მოხდეს.

არ შემიძლია არ გამოვეხმაურო გიორგი მარგველაშვილის შესახებ განცხადებას, რადგან ვთვლი, საქართველოს დღეს არ აქვს იმ დონის ფუფუნება, რომ მარგველაშვილი, როგორც ინტელექტუალი, როგორც პოლიტიკოსი, სახლში, პოლიტიკის მიღმა ჰყავდეს. ამაზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ. მარგველაშვილი არაბუნებრივად, არალოგიკურად, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ რატომღაც დაკარგულია ქართული პოლიტიკისთვის. მისი ინტელექტი გამოსაყენებელია და ის სჭირდება დღევანდელ პოლიტიკას.

# ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რუსეთში შესვლის პროგრამა დააანონსეს

## „ნატოს გაფართოება არაფერ შუაშია. რუსეთი წინა წლებში შევიდა საქართველოში, ყირიმსა და დონბასში“

მარიამ მჭედლიშვილი

დაძაბულობამ დასავლეთსა და რუსეთს, უკრაინასა და რუსეთს შორის საქართველოს ოკუპირებულ რეგიონზეც იმოქმედა. ცხინვალში გაააქტიურეს მოქმედებები რუსეთში შესვლის მიზნით. დე ფაქტო პრეზიდენტმა ბიბილოვმა დააანონსა პროგრამა „ხუთი ნაბიჯი რუსეთისკენ“.

ამ პროგრამამ უნდა შექმნას პირობები საქართველოს ამ კუთხის რუსეთის ფედერაციასთან მიერთებისათვის.

რუსეთისკენ სწრაფვა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიასთან შერწყმა ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული მმართველებისათვის ჩამოყალიბებული ტრადიციაა. ამჟამად ამ იდეის გაცოცხლებას ხელი შეუწყო ესკალაციამ უკრაინის საზღვართან, ასევე ცხინვალის რეგიონის მოახლოებულმა არჩევნებმა. აპრილში იქ უნდა გაიმართოს დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები. ამაში რამდენიმე კანდიდატი მონაწილეობს. მათ შორის, ბიბილოვი, რომლის ავტორიტეტი მინიმუმს მიახლოვდა. ბიბილოვმა წინასაარჩევნოდ ეს თემა გამოიყენა.

– ეს ჩემი ახირება არ არის. ესაა ჩვენი ხალხის სურვილი წინა ასწლეულის 20-იანი წლებიდან. ოსები გაყოფილი ხალხია. ეს დაყოფა უნდა აღმოიფხვრას. ოსების გაერთიანება დამოუკიდებლობაზე მაღლა დგას, – დასძენს ბიბილოვი.

მის განცხადებას წინ უძღოდა ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო საგარეო მინისტრ მედოევის პანიკური და ოდიოზური გამონათქვამები. მისი აზრით, შექმნილ ვითარებაში საქართველომ შეიძლება ნატოს დაუთმოს თავისი ტერიტორია რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გასახსნელად. მედოევის სიტყვებით, მორიგი წვრთნები „საქართველო-ნატო 2022“ ემუქრება „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე განლაგებულ რუსეთის სამხედრო კონტინგენტს. იქმნება შეტაკების საფრთხე რუსულ და ოსურ დანაყოფებთან.

მედოევის მოსაზრებით, საფრთხის თავიდან ასაცილებლად უნდა გაფართოვდეს სახელშეკრულებო-სამართლებრივი სახის თანამშრომლობა. მისი სიტყვებით, ცხინვალს ამჟამად

გაგრძელება მე-4 გვერდზე




# „სოციალურ ნიადაგზე გამოსვლები და სოციალური აფეთქება არ ახსოვს საქართველოს ისტორიას“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– არც არაფერს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ტივტივებენ. თავს გვახსენებენ. ჩავიდნენ იქ, ვიღაცასთან სურათი გადაიღეს, დარაჯთან, დეპუტატთან და რა გააკეთეს? იქაც რომ ჩავიდნენ, მიშაზე ილაპარაკეს. დღეს ოპოზიციას გადარჩენის ერთადერთი შანსი აქვს. განა მათი ქოლგის ქვეშ უნდა გაერთიანდეს, როგორც ამას ზოგ-ზოგიერთები მოუწოდებენ, პირიქით, უნდა გაემიჯნონ მოძალადეებს, ვინც შემჩნეული იყო ამ ძალადობასა და უბედურებაში. უნდა გადახალისდნენ, ახალი სახეები წამოწიონ წინა პლანზე. გამოდის პარტია ლელო და ამბობს, ახალი სახე შეგვემატაო და ვინ არის ეს ახალი სახე?! სალომე სამადაშვილი! ბიჭო, ეს სამადაშვილი, ხალხს რომ ხოცავდნენ მთელი 9 წლის განმავლობაში და სისხლის გუბეებს აყენებდნენ, ელჩად იყო. ერთი ხმა ამოუღია და გაუპროტესტებია? ერთი სიტყვა არ დასცდენია ამ ქალბატონს, როცა ელჩის თანამდებობაზე იყო, ერთი. ანუ რა გამოდის? ლელო ძალადობას არ ემიჯნება. და რატომ მივცე ლელოს ხმა, ჩემს თავზე ექსპერიმენტები ვიტარო?!

***– ბატონო შალვა, ორი დღის წინ, უკრაინაში ზურაბ ადეიშვილს დაესხნენ თავს. ბევრმა გამოთქვა უკვე მოსაზრება, რომ სწორედ ასეთი ექსცესების თავიდან ასაცილებლად სააკაშვილმა საქართველოში უსაფრთხო ციხეს შეაფარა თავიო. ასეა?***

– არ მგონია ეს სიმართლე იყოს. უბრალოდ, სააკაშვილს მისცეს გარანტიები, რომ არ დაიჭერდნენ. ხელშეუხებლობის გარანტიები მისცეს და მისმა გუნდმა მისცა იმის გარანტია, რომ აქ რომ ჩამოვიდოდა, დაიწყებოდა დიდი მიტინგები და შეიცვლებოდა ხელისუფლება ამ გზით, მაგრამ ყველამ ვნახეთ, რა და როგორ მოხდა. ნაციონალურმა მოძრაობამ ერთი რამ უნდა გაიგოს, მას არ ჰყავს ის ამომრჩეველი, რომელიც ქუჩაში გადის. 600 ათას ხმას იღებს პარტია არჩევნებში, რომლის ლიდერი დაპატიმრებულია, ციხეშია და იქიდან იხვეწება გამომიშვითო და ხალხს ვერ აგროვებენ. ხვალ რომ აქცია დააანონსონ, ალბათ 200-კაციან მიტინგს ვერ ჩაატარებენ. ანუ, მას ჰყავს ამომრჩეველი, რომელიც მიდის, აძლევს ხმას ნაცმოძრაობას და ჩემი აზრით, ეს არის დაახლოებით 5%...

***– დანარჩენ 20%-ს საიდან იღებს მაშინ ნაციონალური მოძრაობა?***

– დანარჩენი 20% ეს არის შურისმაძიებლები „ქართულ ოცნებაზე“. ეს ის კატეგორიაა, რომლებიც განაწყენებულები არიან „ოცნებაზე“, მიდიან და მათ ჯინაზე აძლევენ ხმას ნაციონალებს. „ქართული ოცნება“ თვითონვე ქმნის ბარიერებს და მერე ამ ბარიერების გადალახვა უწევს გაყალბებული არჩევნებით და იმ საშინელი ქალების დახმარებით, სიებით რომ დარბიან.

***– რა ხდება შიგნით, „ოცნების“ გუნდში?***

– რომელ გუნდზე მელაპარაკებით? სად არის გუნდი? იქ გუნდი არც არასდროს არ ყოფილა. ჩვეულებრივი ფუნქციონერები არიან, ეტყვიან, ახლა ამ სკამზე გადაჯექი, ახლა ეს გააკეთე და ისინიც ემორჩილებიან დავალებებს. გუნდი, რეალურად ვინც მართავს ამ ქვეყანას, ისინი არ ჩანან. ყავთ მენეჯერები, რომელთა დახმარებითაც ასე მართავენ ქვეყანას.

***– ბატონო შალვა, როგორც იურისტი და ყოფილი მოსამართლე, კიდევ ერთ საკითხთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, ცოტა ხნის წინ, კვლავ აქტუალური გახდა გიორგი სანაიას მკვლელობის საქმე. ჩვენ მოვისმინეთ კოტე ციხისთავის ინტერვიუ, რომელსაც საზოგადოების ერთ ნაწილში დიდი გამოხმაურება და აჟიოტაჟი მოჰყვა. რამდენად სანდო და დამაჯერებელი იყო თქვენთვის ის, რაზეც კოტე ციხისთავმა ისაუბრა?***

– მე, ზოგადად, ასეთი ინტერვიუების არ მჯერა. სისხლის სამართალში ვარ ექსპერტი და პრაქტიკაში მე თვითონ მქონია საქმე ბევრ კრიმინალთან. ვიცი, ზოგადად, ამ ტიპის კრიმინალურ პიროვნებებს როგორი ისტორიების მოყოლა ახასიათებთ. ასეთი ადამიანები კარგი ბეგრაუნდით არ გამოირჩევიან და ყოველთვის ცდილობენ, შეუმჩნევლები იყვნენ. ხოლო როცა სააშკარაოზე გამოდიან და ღიად იწყებენ საუბარს, იქ ბევრი კითხვის ნიშანიც ჩნდება. შენ თუ იცოდი ეს ყველაფერი, სად იყავი ამდენი ხანი?! ფაქტია, რაღაც გამოძრავებს, როცა რაღაც გამოძრავებს, ხარ სუბიექტური და როცა სუბიექტური ხარ და, მით უმეტეს, ასეთ თემებზეა საუბარი, უკვე ჩნდება კითხვები.

***– თქვენ არ გაგიჩნდათ კითხვები?***

– კარგი, ეს იქით იყოს და პირადად მე, გიორგი სანაიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების მიმართ ძალიან ბევრი კითხვა გამაჩნდა თავის დროზე. სხვათა შორის, ამ საქმის გამომძიებელი, შემდეგ გუბერნატორი იყო იმერეთის რეგიონის, მიხეილ ჩოგოვაძე. ახლა ჩინელებთან მუშაობს ბატონი მიხეილი, როგორც გამომძიებელზე, ცუდს ვერაფერს ვიტყვი. მოიწვიონ და მასაც დაუსვან კითხვები. იმ პერიოდში, როგორც მე ვიცი, მუშაობდა გენერალურ პროკურატურაში. დანარჩენიც, ვინ ხელმძღვანელობდა საგამოძიებო ჯგუფს, ეს ხალხი ცოცხლები არიან, მოიწვიონ და მათაც დაუსვან კითხვები. თუ კითხვის ნიშნები არის, სწორედ ამ ხალხს უნდა დაესვას ეს კითხვები.

***– პირადად თქვენ არ გაგიჩნდათ კითხვები ამ ყველაფრის შემდეგ?***

– რა თქმა უნდა, გარკვეული კითხვის ნიშნები გამაჩნია. მე გიორგის ახლო ნათესავებს ვიცნობდი, ერთ-ერთი მოსამართლე ჩემთან მუშაობდა და იურისტები ამ დეტალებს ერთად ვიხილავდით. მოიწვიონ ეს ხალხიც და დაუსვან კითხვები, თუ არ მივლენ, მაშინ მართლა რაღაც ხდება. მოიწვიონ, იქნებ და მოდიან. პირადად მე, ნებისმიერ ჩემ მიერ განხილულ საქმეზე, დღეს დავჯდები და ვისაუბრებ აბსოლუტურად გამჭვირვალედ ისე, რომ კითხვას არ დაგიტოვებთ. თუ ეს ადამიანები არ მოდიან და შენს კითხვებს ღიად არ პასუხობენ, მაშინ მართლა იბადება კითხვები და ეჭვი გიჩნდება.

***– მარტო სანაიას საქმეზე არ უსაუბრია ციხისთავს, როგორც ჩანს, მას ჰქონდა ინფორმაციები პანკისთან და სხვა გატაცებებთან დაკავშირებით.***

– ინფორმაციები რომ ექნება ასეთი ტიპის ადამიანს, ამაში ეჭვიც არ მეპარება. კაცი ამ საქმიანობით იყო დაკავებული და, რა თქმა უნდა, მას ინფორმაციები გააჩნია. მე იმას კი არ ვამბობ, რასაც ის ლაპარაკობს ტყუილია, არა, უბრალოდ, მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს სერიოზულ ანალიზს.

***– უნდა დაიწყოს თუ არა პროკურატურამ ხელახალი გამოძიება ამ საუბრების შემდეგ?***

– თვითონ ამ განცხადების საფუძველზე, რაც მან გააკეთა, ეს უკვე საკმარისი ფაქტორია იმისთვის, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება. კაცი გამოდის, ამნაირ რამეს აცხადებს და არაფერს არ აკეთებ?! წესით, უკვე აღძრულიც უნდა ჰქონდეთ სისხლის სამართლის საქმე. რამდენად აქტიურად მუშაობენ, ეგ სხვა თემაა.

# „ნაცმოძრაობის 38 დეპუტატი სახლში რომ წავიდეს, პარლამენტი უფუნქციო გახდება“

## მამუკა ტუსკაძე: „9 პარტიამ ჩახსნა სიები, თუ ახლა სხვა კანონს არ მიიღებენ, ამ სიებს ცესკო ვერ მიაწვდის“

გულიკო ბალაძე



**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, თქვენ პარლამენტში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ“ კანონპროექტი შეიტანეთ, რომელიც პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესში ცვლილებას გულისხმობს. კონკრეტულად, პროექტი რას ითვალისწინებს? დღეს რამდენიმე დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი განიხილება, ამიტომ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია.***

– აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით საჭირბოროტო გახდა მას შემდეგ, რაც ამ (მე-10) მოწვევის პარლამენტში პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატების ადგილმონაცვლეობის წესი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

***– კერძოდ, რას გულისხმობთ?***

– ადგილმონაცვლეობის წესში არის ასეთი ჩანაწერი: თუ მოქმედ პარლამენტის წევრს სხვადასხვა მიზეზით შეუწყდება უფლებამოსილება, უფლებამოსილება საარჩევნო სიის შემდეგ წევრზე გადადის. მე-10 მოწვევის პარლამენტში არჩეულმა პარტიებმა ბოიკოტი გამოაცხადეს და 9 პარტიამ საარჩევნო სიები ჩახსნა. ამან წარმოშვა გარკვეული ვაკუუმი.

***– ლეიბორისტულმა პარტიამაც ჩახსნა?***

– დიახ, ნათელაშვილმაც ჩახსნა. 9 პარტიამ ჩახსნა სიები. თუ ახლა სხვა კანონს არ მიიღებენ და ამ სიებს არ აღადგენენ, დღეის მონაცემით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პარლამენტის აპარატი რომ გადაუგზავნის, მომაწოდე შალვა ნათელაშვილის ადგილმონაცვლეო, ცესკო ვერ მიაწვდის, რადგან ასეთი ადგილმონაცვლე უკვე აღარ არსებობს.

ასეთივე სიტუაციაა „ლელოს“, ნაცმოძრაობის და სხვა პარტიების შემთხვევაში (სიები არ ჩაუხსნია ალეკო ელისაშვილსა და „გირჩს“). შესაბამისად, ამან კოლაფსი გამოიწვია. დიდი ალბათობა გაჩნდა იმისა, რომ საქართველოს პარლამენტში 113 ხმაზე ნაკლები ყოფილიყო და საკანონმდებლო ორგანო პარალიზებული იქნებოდა. ძალიან ბევრი საკითხია, რომლის გადაწყვეტასაც საკონსტიტუციო უმრავლესობა, ანუ 113 ხმა სჭირდება.

დღეს პარლამენტში ნაცმოძრაობა დაბრუნდა. ნაცმოძრაობის ყველა დეპუტატს რომ შეჩერებოდა უფლებამოსილება (რაც რამდენჯერმე მოითხოვეს), კოლაფსის წინაშე აღმოვჩნდებოდით. ახალი არჩევნები არა, მაგრამ შუალედური არჩევნები იქნებოდა ჩასატარებელი.

მაჟორიტარული სისტემის შემთხვევაში რა ხდება, გარკვეულია და 2 აპრილს, გამოკლებული დეპუტატის სანაცვლოდ, ახლაც ტარდება არჩევნები, მაგრამ პროპორციულის შემთხვევაში, კანონი არ განსაზღვრავდა, კოლაფსის დროს რა უნდა მომხდარიყო.

შესაბამისად, ჩვენ შევიმუშავეთ კანონპროექტი საარჩევნო კოდექსის 130-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ. 130-ე მუხლის განსაზღვრის შემდეგ, ასეთი გაგრძელება იქნება: საქართველოს პარლამენტის წინაშე თუ დადგება საშიშროება იმისა, რომ საფრთხე დაემუქრება საკონსტიტუციო უმრავლესობას, ანუ პარლამენტში თავისი სრული შემადგენლობის (აქ პოზიცია-ოპოზიციაზე აღარ არის საუბარი) 113 მანდატზე ნაკლები იქნება (ამ წუთში საქართველოს პარლამენტში 147 დეპუტატია). სამი მანდატი აკლია. კიდევ თუ ვინმეს შეუწყვეტენ უფლებამოსილებას, ნელ-ნელა შეიძლება 112-მდე დავიდეს. ეს იმას, ნიშნავს, პარლამენტი არაუფლებამოსილი ორგანო გახდება. ამის აღმოფხვრის მიზნით, ორგანიზაცია „სოციალური სამართლიანობისთვის“ იურისტებმა მოვამზადეთ კანონპროექტი და პარლამენტში შევიტანეთ, რომელიც, ალბათ, განიხილება.

***– ანუ პარლამენტის უფუნქციოდ დატოვების მექანიზმი ნაცებს აქვთ?***

– დიახ. როდესაც პროპორციული სიით ცენტრალური საარჩევნო კომისია რიგითობით დეპუტატს ვერ მიაწვდის ან ეს დეპუტატი აღარ არსებობს, სიები გაუქმდა, ან რომელიმე პარტიას საბოტაჟი უნდა, გააუქმა სიები და თან პარლამენტიდან გავიდა, პარლამენტი უფუნქციოდ რჩება.

ეს რომ არ მოხდეს, დაზღვეული ვიყოთ, როგორც მაჟორიტარების შემთხვევაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას და შუალედურ, საპარლამენტო მაჟორიტარულ არჩევნებს ნიშნავს, ასევე, იმ 38 მანდატზე შუალედური პროპორციული არჩევნები უნდა დაინიშნოს მთელი საქართველოს მასშტაბით. მასში ჩვეულებრივად მონაწილეობას მიიღებს ყველა ის პარტია, რომელიც პირველად, ანუ 2020-ის არჩევნების დროს იყვნენ რეგისტრირებული. ჩატარდება შუალედური არჩევნები, ოღონდ 38 მანდატი გათამაშდება, ან რამდენიც დააკლდება. შეიძლება 40 დააკლდეს.

როგორც კი ამის საშიშროება გაჩნდება, პროპორციული არჩევნები უნდა დაინიშნოს. აქამდე მხოლოდ გამოკლებული მაჟორიტარის ნაცვლად ტარდებოდა შუალედური არჩევნები. ტერმინი „პროპორციული შუალედური არჩევნები“ ახლა ჩვენ შემოგვაქვს. პროპორციული სისტემის დროს შუალედური არჩევნები აქამდე არ ფიქსირდებოდა. არადა, შემდეგი არჩევნები ყველა შემთხვევაში სრულად პროპორციულია. შესაბამისად, ალბათობა იმისა, რომ პარლამენტი საკონსტიტუციო უმრავლესობის გარეშე დარჩება, დიდია.

113 მანდატის არსებობა დაცული რომ იყოს, რაც აუცილებელია ომიანობისა და მნიშვნელოვანი ორგანული კანონების მიღების დროს, ან კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისას თუ პარლამენტს 113 დეპუტატი არ ეყოლა, პარლამენტი უფუნქციო იქნება.

ჩვენი კანონპროექტი აქედან გამომდინარეა. „ოცნებამ“ აიღოს ინიციატივა და იმუშაოს ამ კანონპროექტზე. მზად ვართ, ამ საკითხზე მათთან ერთად ვიმუშაოთ, რათა ჩვენი ქვეყნის საკონსტიტუციო უსაფრთხოება დაცული იყოს და საქართველოს პარლამენტმა სრულფასოვანი ფუნქციონირება შეძლოს.

***– მანდატების შიდა გადანაწილებაზე რა აზრის ხართ? ანუ მანდატები გადანაწილდეს იმ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს და 5%-ზე ნაკლები აიღეს.***

– თუ ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობა და ის პარტიები, რომლებმაც 5%-ზე მეტი მიიღეს, არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ, მონაწილეობა მათ კანონით ექნებათ ჩაკეტილი, ეს უნიკალური იქნება. გამოკლებული მანდატი გათამაშდება დანარჩენი მცირე მხარდაჭერის მქონე პარტიებში. ეს იმას ნიშნავს, საქართველოს პარლამენტში დემოკრატია და მრავალპარტიულობა უფრო ადვილი მისაღწევი იქნება.




***– მეგონა, გადანაწილება ავტომატურად უნდა მომხდარიყო, შუალედური არჩევნების გარეშე.***

– არა. პირიქით. ორი გზა გვაქვს. ერთი, რაც უკვე გითხარით, მეორე გზაა, მორჩენილი მანდატები გადანაწილდეს დანარჩენ სუბიექტებზე, რომლებმაც 0,1-დან 4,9-მდე მიიღეს.

***– ავტომატურად?***

– დიახ, ავტომატურად გადანაწილდეს. ორი სხვადასხვა ვერსია გვაქვს შეთავაზებული. ერთი ეს ვერსია, რომ ვინც ვერ გადალახა ბარიერი, მხოლოდ იმ პარტიებზე გადანაწილდეს, რაიმე სამართლიანი პრინციპი იქნას მიღებული და იმ პრინციპით გადანაწილდეს, ბევრ ქვეყანაში ასეა, ჩვენ პირველები არ ვართ. მაგალითად, იუგოსლავიაში, მაკედონიაში, ხორვატიაში ასეა, სადაც არასდროს პარლამენტს არ აკლდება დეპუტატი პროპორციული სიის დროს. ამის შანსი ნაკლებია, რადგან ყველა შემთხვევაში შუალედური არჩევნები ტარდება, ან გამოკლებული დეპუტატების მანდატები ნაწილდება იმ პარტიებზე, ვინც ბარიერთან ყველაზე ახლოს იყო.

ჩვენთან ეს წესი იყო, მაგრამ მორჩენილი მანდატები უკეთესი შედეგის მქონე პარტიებზე ნაწილდებოდა. ეს ახალი არ არის. დაახლოებით ასეთ რამეს ვითხოვთ ახლა. ამის მოთხოვნის პრინციპი ისაა, რომ დემოკრატიულობა და მრავალპარტიულობა უფრო დაცული იყოს.

***– როდესაც პარტია სიების ჩახსნაზე ცესკოს მიმართავს, სია მთლიანად არ უნდა ჩაიხსნას? იმ პარტიების მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, ვინც ჩვენს რეალობაში სიები ჩახსნა, რატომღა უნდა ყოფილიყვნენ დეპუტატები ჯაფარიძე, ხაზარაძე. ხოშტარია და ნათელაშვილი?***

– საარჩევნო კოდექსში პირდაპირ წერია: თუ პარტია ცესკოს მიმართავს განცხადებით, ვთქვათ, №5-დან 200-მდე სია ჩახსენითო, ჩაიხსნება 5-ის შემდეგ. ვინც უკვე დეპუტატი გახდა, მან პარლამენტს განცხადებით უნდა მიმართოს, არ მინდა დეპუტატობა და გთხოვთ გაითვალისწინოთო. მაგალითად, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ დაწერა განცხადება, დეპუტატობა არ მინდაო და მას განცხადება დაუკმაყოფილეს.

***– ხაზარაძეს უკვე შეუწყდა უფლებამოსილება და მისი უფლებამონაცვლე ვეღარ შევა.***

– ჩვენი კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, შეიძლება, შუალედური არჩევნები ჩატარდეს, თუნდაც ერთ მანდატზე.

***– ფიქრობთ, რომ ეს ცვლილება მოაწესრიგებს ბოლო წლების პრობლემას, რომელსაც ნაცმოძრაობა ქმნის თავისი ბოიკოტით?***

– რა თქმა უნდა. თუ ნაცმოძრაობა სახლში წავა. სხვა პარტიები მოვლენ. ჩავატაროთ რიგგარეშე შუალედური არჩევნები, რომელშიც ნაცმოძრაობა, „ქართული ოცნება“ და სხვა საპარლამენტო პარტიები მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ. მხოლოდ მონაწილეობას მიიღებენ ის პარტიები, ვინც პარლამენტში ვერ შევიდნენ. ან მეორე ფორმულა გამოვიყენოთ და მანდატები პირდაპირ გადავუნაწილოთ მათ ყოველგვარი არჩევნებისა და ზედმეტი ხარჯების გარეშე.

***– კი, მაგრამ, „ოცნება“ და ნაცმოძრაობა დათანხმდება, რომ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის არ მიღებენ?***

– მოგებული ხომ აქვთ არჩევნები, წავიდნენ და იმუშაონ. ხვდებით, რა ლოგიკაა? თუ ნაცმოძრაობა პარლამენტს ტოვებ, შუალედურ არჩევნებში მონაწილეობა რად გინდა, მამაცხონებულო. პარლამენტში არჩეული ხომ იყავი. ნაცმოძრაობაში არალოგიკურ გადაწყვეტილებას იღებენ. ამიტომ, რადგან ნაცმოძრაობას პარლამენტში მუშაობა არ უნდა, მონაწილეობას ნუ მიიღებენ. 1 მანდატი იქნება თუ 38 მანდატი, ან ჩავატაროთ შუალედური არჩევნები იმ პარტიებს შორის, ვინც ბარიერი ვერ გადალახა, ან პირდაპირ გადავუნაწილოთ.

***– ბარიერგადაულახავი პარტიების მონაწილეობის შემთხვევაში, ბარიერი როგორი უნდა იყოს?***

– როდესაც საპარლამენტო პარტიები არ მიიღებენ მონაწილეობას, ბუნებრივია, დანარჩენი ხმები სხვა პარტიებზე გადანაწილდება და მათ პროცენტი აეწევათ. „ოცნების“ ამომრჩეველი ხმას მისცემს მასთან ახლოს მდგომ პარტიას, ნაცმოძრაობის ამომრჩეველიც მასთან ახლოს მდგომ პარტიას მისცემს ხმას.

***– სხვათა შორის, 1991 წლის არჩევნებში კანონით რამდენიმე პარტიის შემოხაზვა შეიძლებოდა, ოღონდ, რომელიღაც პარტიას პირველ ადგილზე აყენებდა, რომელიღაცას – მეორეზე. მესამე ადგილის მინიჭებაც ხდებოდა. შეიძლება ასეთი წესის შემოღება და ახალი არჩევნების ჩატარება საჭირო აღარ იქნება.***

– თქვენ რაც მითხარით, მესამე ვარიანტია. მაგ ფორმატსაც მივესალმები. თუ ერთი პარტია გავა პარლამენტიდან, მეორე შევა და ხელოვნურად კოლაფსი აღარ შეიქმნება. შემდეგ პარლამენტში მთლიანად 150 მანდატი პროპორციული იქნება. მაგალითად, ნაცმოძრაობამ 38 კაცი შეიყვანა. 38-მა კაცმა სია ჩახსნა და სახლში წავიდა, პარლამენტი უფუნქციო გახდება. კანონში მუხლი არ არის, რომ შუალედური არჩევნები ჩატარდეს.

***– ანუ პარლამენტი ვერ მუშაობს და ვერც ახალი არჩევნები ინიშნება?***

– დიახ. ხელისუფლება უკვე იძულებული იქნება, რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს. იძულებას ოპოზიცია ახდენს. ამის ალბათობა სულ იქნება, თუ ოპოზიციას ეცოდინება, რომ თუ ისინი პარლამენტიდან გავლენ, ცესკო შუალედურ არჩევნებს დანიშნავს. თუ ეცოდინებათ, რომ სხვა შევა მათ მაგივრად, დესტრუქციისკენ მიმართული აღარ იქნება. ამიტომ ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილება მისაღებია.

# ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რუსეთში შესვლის პროგრამა დააანონსეს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

საერთო თავდაცვითი სივრცე რუსეთის გარდა აქვს ბელარუსთანაც. მედოევი მიანიშნებს, რომ ცხინვალის რეგიონი რუსეთ-ბელარუსის კავშირში უნდა მიიღონ.

ბიბილოვისა და მედოევის გამონათქვამები ერთმანეთს არ ემთხვევა. ერთი ამზადებს რუსეთთან მიერთებას, მეორე კი ხსნას რუსეთ-ბელარუსის კავშირთან მიერთებაში ხედავს. ეტყობა, ესეც პანიკის შედეგია.

ცხინვალის რეგიონის დამპყრობი რუსეთი მსოფლიოს ბირთვული იარაღით აშინებს. ბირთვული იარაღის გამოყენებას ითვალისწინებს წვრთნები, რომელიც მიმდინარე თვეში იგეგმება.

პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ამჟამად ევროდეპუტატი სიკორსკი საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, სერიოზულად ნუ მოეკიდებიან რუსეთის მოსალოდნელ მანევრებს. მისი თქმით, ეს სხვა არაფერია, თუ არა შეკავება.

– წვრთნები „დასავლეთი“ ტარდება პოლონეთის საზღვართან. წვრთნების ბოლოს რუსეთი ყოველთვის უშვებს ტაქტიკურ რაკეტას. თითქოსდა ნატოს ტერიტორიის თავზე. ამაში განსაკუთრებული არაფერია. არა მგონია, რომ რუსეთის მომავალი წვრთნები ბირთვული იარაღის გამოყენებით გულთან ახლოს უნდა მივიტანოთ, – განმარტავს პოლონელი ევროდეპუტატი.

იგი აღნიშნავს, რომ პუტინის ახლანდელ მოქმედებებთან ნატოს გაფართოება არაფერ შუაშია. რუსეთი წინა წლებში, 2008 წლიდან მოყოლებული, შევიდა საქართველოში, ყირიმსა და დონბასში. კონფლიქტს უკრაინაში ცოტა რამ აქვს საერთო ნატოს გაფართოებასთან. პუტინს უკრაინის გეოპოლიტიკურად დამორჩილება უნდა. პუტინს უნდა პარიტეტის მიღწევა, ანუ თანასწორობა აშშ-სთან, ევროპასა და ჩინეთთან.

შვედი ექსპერტი თავდაცვის საკითხებში რიესი განიხილავს მოვლენათა განვითარების სამ სცენარს.

პირველ შემთხვევაში, რუსეთი იჭრება უკრაინაში. მისი შეფასებით, თუ პუტინი ამგვარად არ იმოქმედებს, მომხრეებში, ადრე თუ გვიან, დაკარგავს ნდობას. მთელი ქვეყნის ოკუპაცია არ მოხდება. დარტყმები განხორციელდება ან კიევზე, ან ტერიტორიაზე რუსეთსა და ყირიმს შორის.

მეორე ვარიანტით, ომი არ იქნება. ამის მიღწევა შესაძლებელია დათმობებით. მოსკოვი მოითხოვს უსაფრთხოების ზონის შექმნას თავის საზღვრებთან. პრაქტიკაში ეს ნიშნავს ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის გაუქმებას, რაც მიუღებელია დასავლეთისთვის. ამიტომ, შესაძლოა, დასავლეთმა სხვა რამ დათმოს.

მესამე სცენარით, დაიწყება ახალი ცივი ომი. დასავლეთი ევროპა და რუსეთი ერთმანეთს შეეჯიბრებიან თავისი თავდაცვითი პოტენციალის განმტკიცებაში. რუსეთის მომავალ წვრთნებში დაგეგმილია ბირთვული იარაღის გამოყენება, რაც გახდება კიდევ ერთი ზეწოლის საშუალება რუსეთის მხრიდან.

# ევროპულმა სასამართლომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით რუსეთის წინააღმდეგ ინდივიდუალური საჩივრების განხილვა დაიწყო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (საია) ინფორმაციით, ევროპულმა სასამართლომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით რუსეთის წინააღმდეგ ინდივიდუალური საჩივრების განხილვა დაიწყო.

როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 2022 წლის 07 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან მიღებული კომუნიკაციის თანახმად, სასამართლომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით ინდივიდუალური საჩივრების არსებითი განხილვა დაიწყო. კერძოდ, სასამართლომ ინდივიდუალურად წარდგენილ 59 საჩივართან (ჯიოშვილი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და 58 სხვა საჩივარი) დაკავშირებით რუსეთის ფედერაციას კითხვებით მიმართა. განსახილველ საქმეებს შორის არის საიას მიერ გაგზავნილი 12 საჩივარი, რომელიც 78 ადამიანის ინტერესების დაცვას ეხება:

– როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე იცავს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს 350-ზე მეტ დაზარალებულ ადამიანს. საიას ჯამში 53 საჩივარი აქვს წარდგენილი, რომელიც ომის დროს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სხვადასხვა უფლების დარღვევას შეეხება.

2022 წლის 7 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან მიღებული კომუნიკაციის თანახმად, სასამართლომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით ინდივიდუალური საჩივრების არსებითი განხილვა დაიწყო. კერძოდ, სასამართლომ ინდივიდუალურად წარდგენილ 59 საჩივართან (ჯიოშვილი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და 58 სხვა საჩივარი) დაკავშირებით რუსეთის ფედერაციას კითხვებით მიმართა. განსახილველ საქმეებს შორის არის საიას მიერ გაგზავნილი 12 საჩივარი, რომელიც 78 ადამიანის ინტერესების დაცვას ეხება.

სასამართლოს წერილის თანახმად, რუსეთის ფედერაციას 2022 წლის 02 მაისამდე აქვს ვადა, ევროპული სასამართლოს წინაშე უპასუხოს კითხვებს, მომჩივანთა მიმართ დაირღვა თუ არა კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება); 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი (საკუთრების უფლება), მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (მიმოსვლის თავისუფლება), და, ამ უფლებებთან ურთიერთკავშირში მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლები. ხსენებულ მუხლებთან დაკავშირებით სასამართლო განიხილავს, აქვთ თუ არა მომჩივნებს წვდომა თავიანთ საკუთრებასთან, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, და, შეერაცხება თუ არა რუსეთის ფედერაციას მათ მიმართ ამ უფლებების დარღვევა.




ხაზგასასმელია, რომ, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ გამოაცხადა გადაწყვეტილება სახელმწიფოთაშორის საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) (ნო. 38263/08), რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებულ დარღვევებს შეეხება.

სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი, რომელმაც კონფლიქტის პერიოდში მათი საცხოვრებელი სახლები დატოვა, ცხოვრებას აგრძელებდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ არ ეძლეოდათ საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა. ის ფაქტი, რომ ეთნიკურად ქართველების სახლები მდებარეობდა რუსეთის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე და რუსეთი ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა ადმინისტრაციულ საზღვარზე, სასამართლოსთვის საკმარისი აღმოჩნდა, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეებს შორის იურისდიქციული კავშირის დასადგენად (§§ 292-95).

სასამართლოს განმარტებით, საკუთარ სახლებში დაბრუნების შეუძლებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ პრაქტიკას, რომელიც ქართველების მიმართ კვლავ გრძელდება. შესაბამისად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას და ასევე, რუსეთის ფედერაციას, როგორც ამ ტერიტორიებზე ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს, კონვენციით ეკისრება ვალდებულება, ქართული წარმოშობის მცხოვრებლებისთვის სახლებში დაბრუნების უფლება მისცეს (§§ 296-301).

საია სასამართლოსთან განაგრძობს დაზარალებულთა უფლებების დაცვას და საზოგადოებას პერიოდულად მიაწოდებს ინფორმაციას საქმეთა მიმდინარეობის შესახებ. ვრცლად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით ხშირად დასმული კითხვების მიმოხილვა იხ. საიას მიერ მომზადებულ საინფორმაციო დოკუმენტში“ – ნათქვამია განცხადებაში.

# ოპერატორის ცემაში ბრალდებული სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა



5 ივლისის საქმეზე მორიგი სასამართლო სხდომა გაიმართა, სადაც რუსთავი 2-ის ოპერატორზე განხორციელებული ძალადობისთვის დაკავებული უშანგი დათუნაშვილი მოსამართლემ 3 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა გადაწყვეტილება ცოტა ხნის წინ გამოაცხადა.

ადვოკატის განმარტებით, პატიმრობის შეცვლასთან დაკავშირებით შუამდგომლობის დაყენების საფუძველი უშანგი დათუნაშვილის რთული ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთად ,,რუსთავი 2“-ის ოპერატორის მიერ გაკეთებული განცხადება გახდა, რომელიც დათუნაშვილის კანონის უმკაცრესი ზომით დასჯას არ მოითხოვდა.

# მძიმე ნარკოდანაშაული სამეგრელოში — პოლიციამ სამი პირი დააკავა

შსს-ს ინფორმაციით, სამეგრელოში პოლიციამ მძიმე ნარკოდანაშაულისთვის 3 პირი დააკავა, მათ შორის ორი მათგანი ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის ბრალდებით აიყვანეს. როგორც გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს:

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 3 პირი დააკავეს.

1978 წელს დაბადებულ გ.ჭ.-ს ბრალი ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, ხოლო 1973 წელს დაბადებული ა.ყ. და 1986 წელს დაბადებული ა.გ. ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღებისთვის არიან დაკავებული.

პოლიციამ ნარკორეალიზატორთა გამოსავლენად, რამდენიმე ეტაპად განახორციელა კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე.



სამართალდამცველებმა, სამივე ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვას და გასაღებას გულისხმობს“ – ნათქვამია განცხადებაში.

# ალექსანდრე დარახველიძე UNDP-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ, შეხვედრა გამართა გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილესთან, ანნა ჩერნიშოვასთან.

შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის საკითხს, რომლის განხორციელებაშიც გაეროს განვითარების პროგრამამ სამინისტროს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა.



მინისტრის მოადგილემ ანა ჩერნიშოვას გააცნო სამინისტროს სამომავლო გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავს უწყების საქმიანობის სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ ანა ჩერნიშოვას და გაეროს განვითარების პროგრამას ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა.

# „აპირებს, განცხადება დარბაზიდან გააკეთოს“ — სააკაშვილი პროცესს დაესწრება




ე.წ. პიჯაკების საქმეზე ხვალინდელ სასამართლო პროცესს ბრალდებული მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრება. ამის შესახებ ინფორმაცია ენმ-ს წევრმა ეკა ხერხეულიძემ გააკეთა, რომელმაც ცოტა ხნის წინ დატოვა რუსთავის სასჯელაღსრულების მე-12 დაწესებულება:

– ხვალინდელი დღე არის მნიშვნელოვანი იმით, რომ ?მიხეილ სააკაშვილი აპირებს განცხადების გაკეთებას და ამას შეეხებოდა ჩვენი შეხვედრა, – განაცხადა ხერხეულიძემ.

# ,,სამი თვის შვილი დარჩა“ — მარნეულში მომხდარი მკვლელობის დეტალები

მარნეულში არასრულწლოვანმა 29 წლის ახალგაზრდა დანით მოკლა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, გარდაცვლილი ძალიან კარგი, მშრომელი ბიჭი იყო.




– დაპირისპირების მიზეზი არ ვიცით. ამბობენ, რომ დანა ზურგიდან დაარტყა. ძალიან კარგი, მშრომელი ბიჭი იყო. კონფლიქტური არ ყოფილა. ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავდა. სამი თვის შვილი დარჩა. დანით მოკლეს. მკვლელობის მოტივს პოლიციელები დაადგენენ. დაკავებული ჩვენი მეზობელია, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

ცნობისთვის, პოლიციამ მარნეულში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ მარნეულში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1992 დაბადებული ა.ი. ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილოდ დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ა.მ. ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# მილიონზე მეტი ღირებულების ყალბი ანგარიშ-ფაქტურების დამზადება — დაკავებულია ორი პირი



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების ჯგუფურად დამზადება-გამოყენების ფაქტზე, ბრალდებულის სახით ორი პირი პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მათი მართვის ქვეშ მყოფი 4 კომპანიის სახელით, ურთიერთშორის ყალბი ხელშეკრულებები გააფორმეს და საერთო ჯამში 1.112.800 ლარის ღირებულების სამშენებლო მომსახურების გაწევის თაობაზე ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები გაწერეს, ფორმალურად შეიქმნეს თითქოსდა სამშენებლო სამუშაოების წარმოების გამოცდილება, რის შემდეგაც აღნიშნული ყალბი დოკუმენტები სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობისას გამოიყენეს.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი და 210-ე მუხლის მე-2 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების 4-დან 7 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

# ავარია ფონიჭალის გზაზე — არიან დაშავებულები

ავარია ფონიჭალის გზაზე – ერთმანეთს ორი მსუბუქი მანქანა შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ორი ადამიანია დაშავებული.

# პრეზიდენტი ბაიდენი გერმანიის კანცლერს შეხვდა



ვაშინგტონში პრეზიდენტმა ბაიდენმა მიიღო გერმანიის კანცლერი შოლცი. მოლაპარაკებების ძირითადი თემა უკრაინა იყო. მხარეებმა კოვიდის პრობლემაც განიხილეს.

შოლცის ვიზიტს ყველა მოუთმენლად ელოდა. საქმე ისაა, რომ გერმანია ჯერჯერობით კვლავ რუსულ გაზზეა დამოკიდებული. გერმანული მრეწველობის 40% რუსულ გაზზე მუშაობს. ამით აიხსნება სწორედ ის ფრთხილი პოზიცია, რომელიც შოლცმა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყებისთანავე დააფიქსირა. აშშ-ისგან განსხვავებით, გერმანიის კანცლერმა უკრაინისათვის იარაღის მიწოდებაზე უარი განაცხადა. სანქციებთან მიმართებაშიც ის ფრთხილი იყო. შოლცმა აღნიშნა, რომ სვიფტის გათიშვა უფრო დასავლეთს დააზარალებს, ვიდრე რუსეთს. შემდეგ მან დაამატა, რომ სანქციების შემოღებისას უნდა კარგად დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შემოუბრუნდება ეს ჩვენს ქვეყანას.

ბაიდენთან საუბრის შემდეგ შოლცმა პოზიცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. მართალია, უკრაინისათვის იარაღის მიწოდების საკითხში ის კვლავ ფრთხილია, მაგრამ სანქციების საკითხში ბევრად უფრო რადიკალური გახდა. კერძოდ მან თქვა, რომ მართალია ამ სადამსჯელო ღონისძიებების შედეგად ზარალი დიდი იქნება, მაგრამ ამაზე უნდა წავიდეთო. ევროპა, კერძოდ გერმანია, მზადაა გაიღოს ხარკი საიმისოდ, რათა უკრაინაში რუსული აგრესია შეაჩეროს.

— ამ საკითხში ევროპა და აშშ ერთიანია, — თქვა შოლცმა.

ამრიგად, გერმანიის კანცლერმა თავისი პოზიცია დააფიქსირა. მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთს რადიკალურ სანქციებს დაუწესებენ და იმასაც, რომ ამ საკითხში აშშ და ევროპა ერთიანია.

შოლცმა მადლობა გადაუხადა ბაიდენს იმ წვლილისათვის, რაც მან უკრაინაში მშვიდობის შენარჩუნებაში შეიტანა. დღეს ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვლადიმერ პუტინის ვიზიტი პეკინში მარცხით დამთავრდა. რუსეთის პრეზიდენტმა სიტყვიერი დაპირებების მეტი ვერაფერი წამოიღო, მაშინ როდესაც, პუტინი იმედოვნებდა, რომ სი ცზენპინი დონბასის საკითხში მას მხარს დაუჭერდა.

— მოველოდით, რომ სი ცზენპინი შტაინმაიერის ფორმულისადმი მხარდაჭერას დააფიქსირებდა და დონბასის ავტონომიას მოითხოვდა. ეს არ გამართლდა, — აცხადებს პრორუსულად განწყობილი ამერიკელი ექსპერტი საიმსი.

ამ ფონზე შოლცმა თავისი პოზიცია ნათლად გამოკვეთა.

კრემლისათვის სავალალო ვითარება შეიქმნა. ჩინეთი მხოლოდ სიტყვიერი მხარდაჭერით შემოიფარგლა, მაგრამ უარი განაცხადა აშშ-ევროკავშირის მიერ სანქციების შემოღების შემთხვევაში რუსეთის ზარალი რამდენადმე შეემსუბუქებინა. შოლცის განცხადებამ რუსეთისათვის რადიკალური სანქციების დაწესების შესახებ კი ყველაფერი დააგვირგვინა. ახლა კრემლის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ ბევრად უფრო რთული იქნება, ვიდრე თუნდაც ერთი კვირის წინ.

— უკრაინის გარშემო ვითარება უდავოდ გაუმჯობესდა, — აცხადებს აშშ-ში მცხოვრები რუსი პოლიტოლოგი პიონტკოვსკი.

# ტონი ბლინკენი ახალ ტურნეს იწყებს

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი ახალ ტურნეს იწყებს. ის მოინახულებს ავსტრალიას, ფიჯის კუნძულებს, შემდეგ იაპონიას და ინდოეთს. ამჯერად ბლინკენის ვოიაჟის მიზანი ჩინეთის განეიტრალებაა.

# აშშ-მ ტაივანთან თავდაცვითი შეთანხმება გააფორმა

აშშ-მ ტაივანთან სამხედრო შეთანხმება გააფორმა. ის 100 მილიონი დოლარის დახმარებას გულისხმობს. შეთანხმებით გათვალისწინებულია ტაივანის სარაკეტო კომპლექსის მოდერნიზაცია.

# მალე ყირიმის პლატფორმის წევრი ქვეყნების სამიტი ჩატარდება

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კულებამ განაცხადა, რომ მალე ყირიმის პლატფორმის წევრი ქვეყნების სამიტი გაიმართება. ის ამა წლის 22 აგვისტოს ჩატარდება. ჩატარების ადგილი ჯერ არ არის დაზუსტებული.

ამავე დროს კულებამ ხაზი გაუსვა, რომ ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებთან მოლაპარაკებები გამორიცხულია.



# რუსული აგრესია უკრაინის ნატოში გაწევრიანებას დააჩქარებს

ლიტვის სეიმის სპიკერმა ვიქტორია ჩმილიტე-ნილსენმა განაცხადა, რომ რუსულ აგრესიას პირუკუ შედეგები მოყვება.

— ეს უკრაინის ნატოში გაწევრიანებას დააჩქარებს! — განაცხადა ლიტველმა პოლიტიკოსმა.

ჩმილიტე-ნილსენმა გააკრიტიკა დასავლეთის ქვეყნები თავიანთი ზედმეტად ფრთხილი პოზიციის გამო.

— დღეს რომ უკრაინა ნატოს წევრი ყოფილიყო, მსოფლიოში ასეთი დაძაბულობა არ იქნებოდა, — მიიჩნევს ლიტვის სეიმის სპიკერი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## სპრეი მენტორი 7

გამოიყენება გაცივებისას, სურდოს, პლევრიტისა და ალერგიის დროს ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად. დამზადებულია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

**ჩვენება:** ნადგურდება მავნე ბაქტერიები ცხვირის არხებსა და პირის ღრუში, თხელდება ნახველი, ძლიერდება ორგანიზმის იმუნიტეტი, უმჯობესდება სუნთქვა.

**გამოყენების წესი:** კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, შევისხუროთ სპრეი ცხვირის არხებსა და პირის ღრუში (ყელში).

## წამალი სითხე მენტორი რვა

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, დაზიანებულ თავის კანში შესაზელი წამალი სითხე, სამკურნალო საშუალება მენტორი რვა.

გამოიყენება მშრალი თავის კანის, ქავილის, ქერტლის, ფსორიაზის, გამონაყარის, ალერგიის, ნაოჭების სამკურნალოდ. ბამბა უნდა დავასველოთ წამალში და შევიზილოთ მშრალი თავის კანის ძირებში, უნდა გავაჩეროთ 15-20 წუთი, შემდეგ ჩამოვიბანოთ თბილი წყლით. ეს პროცესი უნდა გავიმეოროთ ყოველი თავის დაბანის დროს. მკურნალობისას მაგრდება თმის ძირები, ქრება ქავილი, ქერტლი, გამონაყარი, ნადგურდება სოკოვანი დაავადება.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# სილამაზის დედოფალი მედუზის თავდასხმის შედეგად საავადმყოფოში აღმოჩნდა



კუნძულ მავრიკიაზე ბრიტანელმა სილამაზის დედოფალმა სიცოცხლისთვის საშიში კუბომედუზას თავდასხმა გადაიტანა და შედეგად ორი დღე საავადმყოფოში გაატარა.

„მის ინგლისი 2020-ის" მონაწილის პრატიშტხი რაუტის მონაწილეობით აღნიშნული ინციდენტი 28 იანვარს კუნძულ მავრიკიაზე მოხდა. გოგონა მეგობრებთან ერთად ოკეანეში ცურაობდა. შემდეგ მან გადაწყვიტა, ნავში აღარ ასულიყო და პლაჟამდე ცურვით მიეღწია. სწორედ ამ დროს დასუსხა ის სახიფათო არსებამ.

— არ ვჩქარობდი, მშვიდად მოვცურავდი ნაპირისკენ, როდესაც სხეულის ქვედა ნაწილში რაღაცის შეხება ვიგრძენი. თავდაპირველად წყალმცენარეები მეგონა, მაგრამ მალე ფეხზე ძლიერი ტკივილი ვიგრძენი, — განაცხადა მომხდართან დაკავშირებით რაუტმა.

ნაპირზე ასულმა გოგონამ დაინახა, რომ ფეხები და დუნდულები დასუსხული ჰქონდა და სხეულზე მისი ფართობი სულ უფრო მატულობდა.

— საშინელი ტკივილი მქონდა, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოსდა სხეულზე ვიღაცამ მდუღარე გადამასხა. ვერც დავდიოდი, ვერც ვჯდებოდი, — განაცხადა სილამაზის დედოფალმა.

გოგონამ სასტუმროს თანამშრომლებს მიმართა და მათ მაშინვე სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. შედეგად რაუტს ორი დღის საავადმყოფოში გატარება და უამრავი წამლის მიღება მოუხდა.

# ღვთისმსახურმა შემოწირულობები ბრილიანტებსა და წვეულებებზე გაფლანგა



იტალიის ტოსკანას სოფელ პონტასერჩიოს მკვიდრი, ყოფილი ღვთისმსახური ფულს სძალავდა ყოფილ ეპისკოპოსს, ეკლესიის კუთვნილ შემოწირულობებს წვეულებებზე, სექს-მუშაკებსა და ბრილიანტებზე ხარჯავდა და საბოლოოდ შვიდნახევარი წლით ციხეში ამოყო თავი.

ვატიკანმა ღვთისმსახურს უფლებამოსილება შეუწყვიტა ლუკა მორინის მის სახელთან დაკავშირებული მთელი რიგი სკანდალების გამო. იტალიის პროვინცია მასა-კარარას ყოფილმა ეპისკოპოსმა ჯოვანი სანტუჩიმ მორინი შანტაჟსა და გამოძალვაში დაადანაშაულა. მისი მტკიცებით, ის თითქოსდა მოითხოვდა, რომ სანტუჩის მისთვის ფული ესესხებინა და 200 ათას ევროდ ღირებული სახლი შეეძინა.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მრევლმა ლუკა მორინოს მეტსახელად „დონ ევრო" შეარქვა, იმის გამო, რომ მათ აიძულებდა მსხვილი თანხები შეეწირათ ეკლესიის საჭიროებისთვის. ამასთან ღვთისმსახური ნებისმიერი შემთხვევით სარგებლობდა და არა ერთხელ შეუგროვებია თანხა წირვის, აღსარების დროს. ამ თანხებს მორინი ხარჯავდა გასართობებზე: მამრობითი სქესის სექს-მუშაკების მომსახურების თანხებს ისტუმრებდა, ყიდულობდა ბრილიანტებს. მიდიოდა დასასვენებლად და დადიოდა სვინგერ-კლუბებში.

ოთხშაბათს, 2 თებერვალს სასამართლომ მორინის შვიდნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და ოთხი სექს-მუშაკისთვის კომპენსაციის სახით 14 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

# ბრიტანელი ლატარიამ გაამილიონერა

ბრიტანელმა ლატარია ევრომილიონის გათამაშებაში 130 მილიონი ევრო მოიგო.

გათამაშების გამარჯვებულის ვინაობა, რომელმაც ჯეკპოტი მოხსნა, ამ დრომდე არ სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ მან გამოიცნო რიცხვების კომბინაცია 3, 25, 38, 43, 49 და Lucky Stars 03, 07. თავად ლატარიის ბილეთი მას 2,5 ევრო დაუჯდა. გამარჯვებულს მოგებული თანხის მიღება ნახევარი წლის განმავლობაში შეეძლება.

შეგახსენებთ, რომ ლატარია ევრომილიონის გათამაშება ტარდება საფრანგეთში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, ლუქსემბურგში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ასევე პორტუგალიაში, ირლანდიასა და ავსტრიაში. მოგების გადასახადით მოგება მხოლოდ შვეიცარიაში იბეგრება.

# მამაკაცი სამი ვეფხვის თავდასხმას ცოცხალი გადაურჩა



ტაილანდში მამაკაცი ცოცხალი გადარჩა მას შემდეგ, რაც მას ერთდროულად სამი ვეფხვი დაესხა თავს.

ინციდენტი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში კანჩანაბურის პროვინციაში მოხდა. 47 წლის ადგილობრივი მკვიდრი სამ მეცხვარე ძაღლთან ერთად თავისი კამეჩების გამოსარეკად გაემართა, რომლებიც კხაო ლაემის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სამატხორის ტყეში ძოვდნენ.

პარკის ტერიტორიაზე რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, მამაკაცი სამ აგრესიულ ვეფხვს გადაეყარა, რომლებიც მაშინვე თავს დაესხნენ. მტაცებლების გამუდმებული შეტევების მოგერიებისას მამაკაცმა უახლოეს ხეზე აძრომა მოახერხა. ასე მოახერხა მან თავდასხმის გადატანა და გადარჩენა. თუმცა მას შემდეგ, რაც ტაილანდელი ხეზე აძვრა, ვეფხვები მის ძაღლებზე გადაერთნენ და ორი მათგანი მოკლეს.

გარკვეული დროის შემდეგ მტაცებლებმა მის მიმართ ინტერესი დაკარგეს და გაეცალნენ. დაშავებული მამაკაცი ხიდან ჩამოვიდა, თავისი ერთ-ერთი კამეჩი მოძებნა, მასზე ამხედრდა და სოფლისკენ გაემართა. გზაში მეგობარი შემოხვდა, რომელიც სოფლამდე მიღწევაში დაეხმარა.

დაშავებულის თანასოფლელებმა პარკის რეინჯერები გამოიძახეს, რომლებმაც მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მას სახეზე, კისერზე, ხელებსა და ფეხებზე 20-ზე მეტი ჭრილობა აღმოუჩინეს. რამდენიმე მათგანი სერიოზული აღმოჩნდა და მამაკაცი დღემდე საავადმყოფოში რჩება.

# პიკაპის გამტაცებლებმა სელფი მანქანის მფლობელის ტელეფონით გადაიღეს და ჩავარდნენ

ამერიკის ჯორჯიას შტატის კატუსას ოლქში პიკაპის გატაცებაში ეჭვმიტანილები მას შემდეგ დააკავეს, როდესაც მათ ავტომობილის მფლობელის ტელეფონით სელფი გადაიღეს.

როგორც ოლქის პოლიციაში განაცხადეს, არასრულწლოვანმა დამნაშავეებმა ავტომობილი შევროლე სილვერადო გაიტაცეს, რა დროსაც მანქანის სალონში მისი მფლობელის მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს. გატაცებული ავტომობილით მგზავრობის დროს მათ აღნიშნული ტელეფონით რამდენიმე სელფი გადაიღეს.

როგორც ჩანს, დამნაშავეებმა არ იცოდნენ, რომ მათ მიერ გადაღებული ფოტოსურათები ავტომატურად ჩაიტვირთებოდა მისი მფლობელის კუთვნილ გუგლის საცავში. მოგვიანებით მათ კიდევ რამდენიმე სურათი გადაიღეს უკვე სხვა ადგილას.

მეორე დღეს პოლიციელებმა მოზარდები სხვა გატაცებული ავტომობილით დააკავეს. ხოლო გატაცებული პიკაპისთვის ამ დრომდე არ მიუგნიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# რუსეთის ეროვნული 7-კაცა ქუთაისში ქართველებთან ერთად შეკრების გამართვას გეგმავს

საქართველოს 7-კაცა რაგბის ეროვნული ნაკრები თებერვალში რუსეთის ნაკრებთან ერთობლივი შეკრების გამართვას გეგმავს. ამის შესახებ წერილი საქართველოს რაგბის კავშირმა გაავრცელა.

– მოგეხსენებათ, რუსეთი ჩვენი კონკურენტია მსოფლიოს საკვალიფიკაციო ეტაპზე და ძალიან გამოგვადგება მათთან ერთად შეკრების გავლა და მათთან თამაშები, – აღნიშნულია ეროვნული ნაკრების მენეჯერის, ალექსანდრე ნიჟარაძის წერილში.

„მთავარი არხი“ „შვიდკაცა“ ეროვნული ნაკრების მენეჯერ ლექსო ნიჟარაძეს დაუკავშირდა, რომელთანაც სცადა გაერკვია, რატომ გახდა აუცილებელი, ქართველებმა შეკრება რუსებთან ერთად გაიარონ.

– თქვენ არ გაძლევთ ინტერვიუს [რუსეთის ნაკრებთან შეკრების გამართვა], აუცილებელი იყო. არა, გეუბნებით, თქვენ ინტერვიუს არ გაძლევთ,

არანაირ პატივს არ გცემთ არც თქვენ, არც „ტვ პირველს“. დიდი საზოგადოებრივი ინტერესი რომ არის, გაიგებენ სხვა არხების მეშვეობით და არა თქვენი არხების მეშვეობით, – თქვა ალექსანდრე ნიჟარაძემ.

„მთავარმა არხმა“ ამ ფაქტთან დაკავშირებით ვეტერანი მორაგბეებიც ჩაწერა. სიმონ მაისურაძის თქმით, რუსეთის ნაკრების მოწვევა და მასთან ხელგაშლილი შეხვედრა ყოვლად უპასუხისმგებლო საქციელია.

ამ აზრს ირაკლი მაჩხანელიც იზიარებს, რომელიც ამბობს, რომ არ ყოფილა აქამდე პრეცედენტი, როდესაც საქართველოს ნაკრებს შეკრება რუსეთთან გაევლო.

საქართველოს ნაკრები ქუთაისში შეკრების გამართვას 24 თებერვალი-1 მარტის პერიოდში გეგმავს, რა დროსაც რუსეთის ეროვნული 7-კაცა ნაკრები საქართველოში ჩამოდის. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, ოკუპანტი ქვეყნის მასპინძლობას ჩვენი მხარე სრულიად თავის თავზე იღებს.

– რუსეთშიც ვთამაშობდი და ჩემი ყოფილი გუნდიც არის საქართველოში ნამყოფი“ – დავით კაჭარავა რუსეთის ნაკრების შესაძლო შეკრებაზე საქართველოში კომენტარს აკეთებს

ვეტერანი მორაგბე და ახლა უკვე პარლამენტარი დავით კაჭარავა „მთავარ არხთან“ საუბარში რუსეთის ეროვნული 7-კაცა ნაკრების შეკრების ქუთაისში შესაძლო გამართვას აფასებს:

– ზუსტად იმიტომ, რომ რუსეთი არის ოკუპანტი და ჩვენი ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული, მაგიტომ იყო მათ ნაკრებთან ჩვენთვის თამაში განსაკუთრებული.

ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე სპორტი, რასაც საზოგადოებაც და მაყურებელიც ხედავდა, თუ როგორ იდგა ქართული რაგბი საკუთარი ქვეყნისა და სამშობლოს გვერდით.

არაფერი შეცვლილა... თქვენ გაქვთ ის ნარატივი, რომ თითქოს ქართულ რაგბიში რაიმე შეიცვალა... ქართული რაგბის მაყურებელმა იცის, რომ რუსეთშიც ვთამაშობდი და

ჩემი ყოფილი გუნდიც არის საქართველოში ნამყოფი.

რუსეთის ჩემპიონიც ყოფილა აქ და შეკრებები და ამხანაგური თამაშები ჩაუტარებია. ამიტომ გული მწყდება, რომ რაღაც მიზანმიმართული კამპანია გაქვთ რაგბის წინააღმდეგ, – ამბობს კაჭარავა.



❖ ❖ ❖

„მთავარ არხთან“ საუბარში ვეტერანი მორაგბე ბობა კვინიხიძე რუსეთის ეროვნული 7-კაცა ნაკრების შეკრების ქუთაისში შესაძლო გამართვას აფასებს:

– ძალადობით მოსული რეჟიმი, რომელიც არის უკვე დე ფაქტო მმართველობა და კარგს არაფერს მოუტანს რაგბის, მაგას პირველსავე დღიდან ვიძახდით.

რატომ უნდა გაუხსნა კარტები, თუ ის შენი კონკურენტია?! – ეს სპორტული შეცდომაა. პლუს, პოლიტიკური შეცდომაა, რადგან რუსეთი ჩვენი ქვეყნის ოკუპანტია და ქართველების 99%-ს, ალბათ, არ ესიამოვნება ეს ფაქტი.

ეს არის რაგბის ღალატი და, ალბათ, უფრო სამშობლოს ღალატი, – თქვა ბობა კვინიხიძემ.

❖ ❖ ❖

მედიაში გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ რუსეთის 7-კაცა რაგბის ნაკრები 24 თებერვლიდან 1-ელ მარტამდე საქართველოში მოემზადება, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

სპორტალლ.გე საქართველოს რაგბის კავშირის მენეჯერ სანდრო ნიჟარაძეს ესაუბრა:

– გაუგებარია, ამ ფაქტს ნეგატიური გამოხმაურება რატომ მოჰყვა. საქართველოში რუსული კლუბებიც ჩამოდიან. პირველ რიგში, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მოემზადება თუ არა რუსეთის 7-კაცა ნაკრები საქართველოში. აქვე მინდა გითხრათ, რომ მოლაპარაკებები გერმანიასა და ესპანეთთანაც მიმდინარეობს.

რუსეთის ნაკრებს საფრანგეთში უნდა შევხვედროდით, მაგრამ კოვიდსიტუაციის გათვალისწინებით, ეს ვერ მოხერხდა. ისინი ივნისში გასამართ ტურნირზე ჩვენი კონკურენტები არიან. შესაბამისად, მათი თამაშის კარგად შესწავლა ჩვენი ერთ-ერთი მიზანია...

რაც შეეხება მზადების ხარჯებთან დაკავშირებულ ინფორმაციას – მას საქართველოს რაგბის კავშირი ნამდვილად არ ფარავს.

# მესი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა




რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მხოლოდ L'Equipe-ს არ შეუმჩნევია, ფრანგული გუნდის მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ თანამემამულეზე ისაუბრა და მხარიც დაუჭირა.

სამხრეთამერიკელ სპეციალისტს უჭირდა ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის მოედანზე ათამაშება, თუმცა, როგორც ჩანს, ეს პრობლემა აღმოიფხვრა, დამუშავდა ახალი ტაქტიკა და „მძინარე დათვიც“ გამოაღვიძეს.

– ეჭვი არ მეპარება, რომ ლეო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. მისნაირ სპორტსმენებსაც კი სჭირდებათ დრო ადაპტაციისთვის. გარკვეული პერიოდია საჭირო, რათა ფიზიკური ფორმა აღიდგინო. შეგახსენებთ, მესი კონკრეტული დროით კოვიდ 19-ის გამო ვერ თამაშობდა. მნიშვნელოვანია, რომ თავი წარმოაჩინოს და საკუთარი შესაძლებლობები მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახოს.

ტაქტიკური სვლა, რის შემდეგაც მესი ამოქმედდა

ზოგადად ვიცით, რომ არგენტინელი კარიერის საუკეთესო წლებში მარჯვენა ფრთიდან უტევდა, თუმცა „ლილთან“ მატჩში გამოჩნდა, რომ „ალბისელესტელი“ 4-3-3 სქემის ცრუ ცენტრფორვარდად მოგვევლინა. პოჩეტინომ აქ სწორი გათვლა გააკეთა, რადგან ლეო კილიან მბაპეს პირდაპირ დაუკავშირდებოდა და ფლანგიდან-ფლანგზე თამაში არ მოუწევდა. დიდი ალბათობით, ეს ტაქტიკური მონახაზი შედეგს გამოიღებს.

რა თქმა უნდა, მადრიდის „რეალისთვისვე“ უკეთესი იქნება, თუ ამ სქემას გაშიფრავენ მანამ, სანამ „პარკ დე პრენსის“ მოედანზე სათამაშოდ გავლენ.

# მეექვსე გოლი მე-7 მატჩში — ქართველი ფორვარდის დაუჯერებელი სტატისტიკა




ბექა მიქელთაძე მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს. „ნიუკასლ ჯეტსის“ ქართველმა ფორვარდმა ამჯერად „მელბურნ სიტის“ კარი აიღო.

„ჯეტსი“ საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით, 0:3 მარცხდებოდა, როცა მიქელთაძემ მე-60 წუთზე მეტოქის კარი თერთმეტმეტრიანით აიღო, თუმცა ავსტრალიის ჩემპიონატის აუტსაიდერებმა 66-ზე ისევ გაუშვეს. ბექას თანაგუნდელებმა შეხვედრის მიწურულს ანგარიში მაინც შეამცირეს – 2:4.

მიქელთაძეს 7 შეხვედრაში 6 გოლი და 1 შედეგიანი პასი აქვს, მისი გუნდი კი 8 ქულით მე-10 ადგილს იკავებს. „ნიუკასლი“ 12 თებერვალს ამჯერად „მელბურნ ვიქტორის“ ესტუმრება.

# ტაქტიკური ცვლილება, რის შემდეგაც „მძინარე დათვმა“ გამოიღვიძა

ლიგა 1-ის ბოლო ტურში, სადაც ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“ მოქმედ ჩემპიონ „ლილის“ დაუპირისპირდა, მშვენიერი შეხვედრა ჩაატარა ლიონელ მესიმ. შეგახსენებთ, პსჟ-მა 5:1 მოიგო, „ალბისელესტეს“ კაპიტანმა კი თავი 1 გოლითა და 1-იც საგოლე გადაცემით გამოიჩინა.

მოგეხსენებათ, პარიზელები ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის პირველ მატჩს 15 თებერვალს, მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ ჩაატარებენ.

– მესიმ ისე გაიბრწყინა, როგორც ამას კარიერის საუკეთესო სეზონში აკეთებდა“ – წერს ფრანგული L'Equipe-ი „ბლანკოსთან“ მატჩის წინ.

„სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ ლეოს სტატისტიკა მის მიერვე დაწესებულ სტანდარტებს არ შეესაბამებოდა, ეროვნულ ნაკრებში არჩასვლის გადაწყვეტილების გამო სამხრეთამერიკელი მოედანზე ჩვეული სისწრაფით და შედეგით დაგვიბრუნდა.

შეიმოსა „მასტერის“ ტანისამოსით და ყველაფერი გაგვახსენა, ჩვეული აჩქარებებით კი ნელ-ნელა დაგვანახა, რომ ლიგა 1-ში აკლიმატიზაცია გაიარა“.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; 3. შემოსავლიანი თანამდებობა, თბილი ადგილი; 4. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 5. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. მაღალი მორალური, ადამიანური ღირებულება; 9. ქართველი მხედართმთავარი, მარშალი; 12. მწვერვალ „ჯომოლუნგმას“ მეორე სახელწოდება; 13. ქალაქი იმერეთში; 16. მოკლე, მცირე ამპლიტუდის რხევები; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

**თარაზულად:** 6. უსაქმური, უქნარა ადამიანი; 7. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 8. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 10. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 13. აფრიკული შხამიანი ბუზი; 14. ჩეჩენ-ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. სულიერი დაძაბულობით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 18. სახელმწიფო ევროპაში; 21. ქართული ოდის აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. თოკებით სამართავი თეატრალური თოჯინა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. კარე; 3. კონსტანტა; 4. გარდა; 5. ჟენშენი; 8. ხამონი; 9. პარანგონი; 12. კაბურა; 14. არმაზი; 16. ატაშე.

**თარაზულად:** 1. ჰინდიკუში; 6. ქობულაძე; 7. ნუსხური; 9. პლისკა; 10. შალე; 11. პორტერი; 13. აბატი; 15. ლაზიკა; 17. ბაირამი; 18. შუამთა; 19. აიაზმა; 20. შეგირდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თურნავა; 2. ვერსაჩე; 3. დისკუსია; 4. მულინე; 5. ბაიყუში; 8. პირუეტი; 9. სელადონი; 12. ტრაპეცია; 13. მორავია; 16. ბასტილია; 17. თურინჯი; 19. პერესი; 20. ფერაძე.

**თარაზულად:** 6. გუტიერეში; 7. შუცმანი; 8. პოკერი; 10. ბაიკალი; 11. ბუკე; 14. ოპონენტი; 15. სანთიობო; 18. დალესი; 21. ემისარი; 22. მენჯი; 23. იშხანი; 24. ჯამბაზები.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 თებერვალი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9200

ევრო — 3.3338

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.9566

100 რუსული რუბლი — 3.8826

## ამინდის პროგნოზი 9 თებერვლისათვის




## მარსელო სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს



მადრიდის რეალის ბრაზილიელი მცველი მარსელო სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებაზე ფიქრობს და მან განაცხადა, რომ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მისი ორგანიზმი მას ნიშანს მისცემს, რომ გაგრძელება არ შეიძლება: „მინდა, რომ ისე წავიდე, გულშემატკივარმა არ დამისტვინოს და არ თქვას, ამდენი ხანი კარიერა რატომ არ დაასრულაო. სეზონის ბოლოს შესაძლოა ბუცები ლურსმანზე ჩამოვკიდო, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია“.

## ენრიკო კიეზა შესაძლოა ატლეტიკოს ფეხბურთელი გახდეს



ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელი ენრიკო კიეზა შესაძლოა უახლოეს მომავალში სხვა გუნდში გადავიდეს და მის მიმართ ყველაზე მეტ ინტერესს მადრიდის ატლეტიკო იჩენს, რომელიც ახალი ფორვარდის ძიებაშია. კიეზამ ერთი თვის წინ საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და ამ მიზეზით ის რამდენიმე თვეს გამოტოვებს, თუმცა, შესაძლოა, ის უფრო მალე ვიხილოთ მინდორზე.

## კრიშტიანო რონალდუ მანჩესტერის დატოვებას არ აპირებს

პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ მანჩესტერ იუნაიტედის დატოვებას არ აპირებს და შესაძლოა მან ახალი კონტრაქტიც გააფორმოს, თუმცა ამ საკითხზე მას ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს რონალდუს იუნაიტედის დატოვება სურდა, მაგრამ ეს სიმართლე არ აღმოჩნდა და კრიშტიანომ შესაძლოა კარიერა მანჩესტერში დაასრულოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, სად ხარ?

– ავტობუსს ველოდები.

– ცოტა იჩქარე!

– კარგი, უფრო ჩქარა დაველოდები.

●●●

ბიჭი გოგონას ეკითხება:

– გოგონი, როდემდე მუშაობთ?

– 60 წლამდე.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– კუჭის მუშაობის გასაუმჯობესებლად ღუდს ვსვამ, უმადობის დროს – თეთრ ღვინოს, დაბალი წნევის დროს – წითელს, მაღალი წნევის დროს – კონიაკს, ანგინის დროს – არაყს...

– და წყალს როდის სვამ?

– მასეთი დაავადება ჯერ არ მქონია...

●●●

ქმარი ცოლისგან სმს-ს იღებს:

– წავედი იქ, სადაც მიშვებდი, ვიქცევი ისე, რასაც მიწონებდი და ნეტა აქამდე რატომ არ გიჯერებდი?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– რა კარგი კოსტიუმი გაქვს.

– ვიცი, ჯერ კიდევ პაპაჩემს ეცვა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რას ნიშნავს „სიმშვიდის ხუთი წუთი“?

– როდესაც ცოლი ტუალეტშია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თამუნა ტაბატაძე გია ბაღაშვილთან დაშორებაზე გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება



ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მუსიკოსი გია ბაღაშვილი და მისი მეუღლე თამუნა ტაბატაძე დაშორდნენ. მათ 4 ქალიშვილი ჰყავთ.

თამუნა ტაბატაძე ამ ამბავს საჯაროდ გამოეხმაურა:

– ძალიან გულდასაწყვეტია, რომ სხვადასხვა ინტერნეტ გამოცემები, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, ავრცელებენ ინფორმაციას და ამით დისკომფორტს უქმნიან ჩემს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს. ჩემი მთავარი ამოცანაა, ჩემი ოთხი საოცარი გოგონას აღზრდა და პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებებზე საუბარი ძალიან ნაადრევია.

## თინათინ მღვდლიაშვილი დააჯილდოვეს



პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი დააჯილდოვეს. არაერთი გამორჩეული ლექსის ავტორს იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო ოქროს მედალი და საპატიო სიგელი გადაეცა.

ქალაქ რუსთავში მდებარე „აკადემიურ ქალაქში“, რომლის დამფუძნებელი და პრეზიდენტი გარი ჩაფიძეა, წითელი ხალიჩა გაიშალა და ორი „ანბანთქებისთვის“ – „სამოთხის გასაღები“ და „ოცდაცამეტი ოქროს მტევანი“ თინათინ მღვდლიაშვილი იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო ოქროს მედლისა და საპატიო სიგელის მფლობელი გახდა.

## ლევან თუთბერიძის ფილმს ბერლინალეზე აჩვენებენ




რეჟისორ ლევან თუთბერიძის ერთ-ერთ ბოლო ფილმს „სამურაი დასვენების ჟამს“ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე 13 თებერვალს აჩვენებენ.

ფილმის სცენარზე რეჟისორმა აკა მორჩილაძესთან ერთად იმუშავა. ეს არის ხუთი ადამიანის ერთდღიანი ურთიერთობის ისტორიაზე გადაღებული ფილმი, სადაც მთავარი გმირები არიან ექიმი, დიასახლისი, სტილისტი, ახალგაზრდა მორაგბე და არშემდგარი რეჟისორი. სწორედ მათი ისტორიაა გაერთიანებული დეტექტიური ხაზის ფილმში, სადაც ერთ-ერთი მოქმედი გმირი სამურაია.

ფილმის გადაღებები თბილისში, გარდაბანსა და რუსთავში მიმდინარეობდა. სცენარი სპეციალურად ამ ფილმისთვის დაიწერა და მასში დღევანდელი ყოფა, ურთიერთობები, ტკივილი, სიხარული და ცრემლია გაერთიანებული.

ლევან თუთბერიძის ახალ ფილმში ნინო კასრაძე, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა მაღალაშვილი, დავით გოცირიძე, ნატალია ყულოშვილი, თემიკო ჭიჭინაძე მონაწილეობენ.

## ცოლის თხოვნამ, მაღაზიაში შეევლო, მამაკაცს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ჰეიგერთაუნში ქმარმა მაღაზიაში ცოლის თხოვნით ქათმის საყიდლად შეიარა და ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

52 წლის მამაკაცის თქმით, მეუღლის თხოვნამ, მაღაზიაში სადილისთვის ქათამი ეყიდა, მას სიმდიდრე მოუტანა. მაღაზიაში შესული მამაკაცი ლატარიის ბილეთების ავტომატთან შეჩერდა და ათდოლარიანი მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა.

სადილის შემდეგ მამაკაცმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა. თავიდან მან არასწორად წაიკითხა დაწერილი და იფიქრა, რომ ათი დოლარი მოიგო და ამით თავისი ფული დაიბრუნა. თუმცა მალე ის მიხვდა, რომ სინამდვილეში ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

ბედნიერი ოჯახური წყვილის თქმით, ისინი მოგებული თანხით მთელი ოჯახით დასასვენებლად წასვლას, ვალების გასტუმრებას, სახლის შეკეთებას და ახალი ტელევიზორის ყიდვას გეგმავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი სიხარულიძე კინომსახიობთა თეატრს აღარ უხელმძღვანელებს



რეჟისორი გიორგი სიხარულიძე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრს აღარ უხელმძღვანელებს. ამიერიდან იგი დმანისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იქნება.

დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორი გიორგი სიხარულიძე „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაინიშნა. იგი მოცემულ პოზიციას 4 წლის ვადით, 15 მარტიდან დაიკავებს. ამის შესახებ შესაბამისი ბრძანება უკვე გამოცემულია.

გიორგი სიხარულიძე 2017 წლიდან 2022 წლის 1-ელ იანვრამდე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის, ხოლო მანამდე 2006-2017 წლებში ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. 15 მარტიდან კი, კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით, იგი დმანისის თეატრს უხელმძღვანელებს.

ამ თეატრში 30 დეკემბერს გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში კულტურის სამინისტროში ერთი განაცხადი შევიდა და კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა. ამის შემდეგ, კულტურის მინისტრმა, „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება გიორგი სიხარულიძის დმანისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გარეშე დანიშვნის შესახებ.

დმანისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის შერჩევისას სამინისტრომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თეატრს არ გააჩნია მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი შენობა, არ ჰყავს მუდმივმოქმედი დასი და ტექნიკური პერსონალი.

ბუნებრივია, მოცემული პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს მხრიდან თეატრისთვის დამატებითი ინვესტიციის გამოყოფას საჭიროებს, რომლის ოპტიმალური, მიზნობრივი გამოყენება უმნიშვნელოვანესია თეატრის შემდგომი განვითარებისათვის. მსგავსი პრობლემებისა და გამოწვევების პირობებში, სავარაუდო რისკების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, სამინისტრომ მიიჩნია, რომ დმანისის თეატრს ხელმძღვანელობდეს როგორც სახელოვნებო, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციის მართვის საქმეში უფრო მეტად გამოცდილი პირი. ასეთ კანდიდატურად კი რეჟისორი გიორგი სიხარულიძე ჩაითვალა, რომელსაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ორი, ძალიან მდიდარი შემოქმედებითი ტრადიციის, მასშტაბური სახელოვნებო ორგანიზაციის მრავალწლიანი მართვის გამოცდილება აქვს.

„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების“ მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სამინისტრო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში წარდგენილი კანდიდატებიდან არც ერთი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს ან/და კანდიდატების საბჭოსთვის წარდგენა მიზანშეწონილად არ ჩაითვლება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 9 თებერვლისათვის



**ვერძი** – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რომის იმპერატორთა ტიტული; 2. მდინარე თბილისში; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრი წყაროს რაიონში; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 8. ოპერა „ქეთო და კოტე“-ს მუსიკის ავტორი; 9. სასულიერო პირთა უმაღლესი წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად:** 1. ცნობილი ქართველი მეღვინე; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 9. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 13. მომღერალი პოეტი-მუსიკოსი შუა-აზიაში; 15. პატარა მოთხრობა; 17. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 19. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი; 20. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

